აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№139 (25.019) სამშაბათი, 20 - 21 დეკემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვა, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 12-17, მაღალ მთაში - 3-8 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 14 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 762 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, მთავრობის სხდომა გაიმართა. განიხილეს საკითხი ხუდონ ჰესის გამოსყიდვის შესახებ, რომლის საფუძველზეც შედგა შეთანხმება ჰესის სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით. ასევე, იმსჯელეს საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის - „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026“-ის დამტკიცებაზე. აღნიშნული არის პირველი სტრატეგია ახალგაზრდობის სფეროში და იქნება საქართველოს მთავრობის მთავარი სახელმძღვანელო დოკუმენტი ამ მიმართულებით.

* * *

ვიცე-პრემიერ ლევან დავითაშვილის განცხადებით, საქართველოდან უკრაინაში გენერატორები მიმდინარე წლის ბოლომდე გაიგზავნება. „იცით, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გადაწყვეტილება მიიღო, უკრაინას დავეხმაროთ გენერატორებით. ეს დავალება სახელმწიფო ელექტროსისტემამ - ჩვენმა სამინისტრომ მიიღო“, - აღნიშნა მინისტრმა. მისივე თქმით, შესყიდვის კონტრაქტი უახლოეს დღეებში დასრულდება.

* * *

„რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარის განცხადებით, სახალხო დამცველის არჩევის საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებებისა და შეთანხმების შესაძლებლობა არსებობს. როგორც ხათუმა სამნიძემ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, „არის მოლაპარაკებებისა და შეთანხმების შესაძლებლობა, რადგან კანდიდატების სიმრავლე გვაქვს. ოპოზიციას უკვე აქვს საკუთარი პოზიცია დაფიქსირებული. ჩვენ ველოდებით „ქართული ოცნებისგან“ უფრო მკაფიო პოზიციას, რადგან ბოლო შეხვედრაზე ეს მკაფიო პოზიცია დაფიქსირებული არ იყო“.

* * *

აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი მოსკოვში ბელარუსის და რუსეთის საპარლამენტო ასამბლეაში მონაწილეობის მისაღებად კიდევ ერთი ნაბიჯია, რათა ბელარუსის მიერ მოხდეს აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება, რაც შემდგომ ბელარუსის და რუსეთის კავშირში აფხაზეთის შეყვანით დასრულდება, - განაცხადა პარტია „ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარე პაატა დავითაიამ. მისი განცხადებით, „საქართველოს ხელისუფლებამ სეპარატისტების ლიდერების და რუსეთის ფედერაციის მიერ ბოლო პერიოდში გააქტიურებულ კავშირებზე საქმის კურსში უნდა ჩააყენოს პარტნიორები და საერთაშორისო ორგანიზაციები“.

მოამზადა
ია შველიძემ

ჯილდო – საუკეთესო პრაქტიკისთვის

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ქედის მუნიციპალიტეტმა 2022 წლის ჯილდო - საუკეთესო პრაქტიკისთვის მიიღო

მუნიციპალიტეტის მერს როლანდ ბერიძეს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) მიერ ორგანიზებულ საუკეთესო პრაქტიკის კონკურსზე ჯილდო ნომინაციაში: „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და გენდერულად მგრძნობიარე მუნიციპალური სერვისების განვითარება“ გადასცეს.

კონფერენცია, რომელსაც საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის, გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისის, სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და მუნიციპალიტეტების პირველი პირები ესწრებოდნენ, ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ გახსნა და აღნიშნა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტები არა მხოლოდ ქმნიდნენ მუნიციპალური სერვისების მიწოდების კარგ პრაქტიკას, არამედ, საკუთარი გამოცდილების და ცოდნის გაზიარებით, სხვა მუნიციპალიტეტების წარმატებასაც უწყობდნენ ხელს.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ორგანიზებით გამართულ საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის მეხუთე ეროვნულ კონფერენციაზე 2022 წლის კონკურსში გამარჯვებული 10 მუნიციპალიტეტი დასახელდა.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით, 2018 წლიდან ახორციელებს საუკეთესო პრაქტიკის პროგრამას (Best Practice Program), რომელიც ევროპის საბჭოს მიერ აღიარებული ინსტრუმენტია კარგი მმართველობის წარმატებული მაგალითების გამოვლენისა და გაზიარებისთვის.

- ეს აღიარება მეტს გვავალდებულებს და მომავალშიც ვიზრუნებთ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის, - გვითხრა როლანდ ბერიძემ.

„მოხელის დღე“ – საქართველოში

დარინა ბაბაიძე 27 48 93

უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ფატი ხალვაშმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის პროგრამის სტუდენტებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ „პროფესიონალი საჯარო მოხელე წარმატებული სახელმწიფოს საფუძველია“. სტუდენტებმა საკანონმდებლო ორგანოში ექსკურსია, სიმბოლურად, „მოხელის დღეს“ დაუკავშირეს

ფატი ხალვაში სტუდენტებს გენდერული თანასწორობის გამოწვევებზე, თანაბარი გარემო პირობების შექმნის და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელობაზე ესაუბრა, ასევე, გააცნო უმაღლესი საბჭოს მიერ შემუშავებული გენდერული პოლიტიკის, სამოქმედო გეგმის ცალკეული საკითხები და ხაზი გაუსვა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში გენდერული ბიუჯეტირების გათვალისწინების მნიშვნელობას.

უმაღლესი საბჭოს წევრმა უპასუხა სტუდენტების შეკითხვებს.

ჩართულობის ცენტრის ხელმძღვანელმა ცირა ხაჯიშვილმა ახალგაზრდებს საკანონმდებლო ორგანოს ადმინისტრაციული შენობა დაათვალიერებინა და გააცნო შენობის ისტორია, წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილებები, საქმიანობის პრინციპები, საზედამხედველო მექანიზმები, ისაუბრა უმაღლეს საბჭოში და სხვა უწყებებში დასაქმებული საჯარო მოხელეების პროფესიონალიზმის, კომპეტენტურობის როლზე, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზე რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

საქართველოში „მოხელის დღე“ საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით დაწესდა და ყოველი წლის 19 დეკემბერს აღინიშნება.

მესიჯი, რომელიც მოსახლეობამდე უნდა მივიტანოთ

4

თქვენ როგორ ფიქრობთ?

4

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

აკვაკულტურის ადგილობრივი წარმოების განვითარებისთვის

დარინა ბაბაიძე 27 48 93

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი ბათუმში ორგანული აკვაკულტურის განვითარების ასოციაცია „ფორეჯის“ წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრის მონაწილეებმა საქართველოში აკვაკულტურის სექტორში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებისა და თევზის წარმოების მდგრადობის გაზრდის მიზნით განსახორციელებელ ნაბიჯებზე იმსჯელეს. საუბარი შეეხო თევზის დაავადებების კვლევის ლაბორატორიული კომპონენტის გაძლიერების საკითხს.

სოლომონ პავლიაშვილის განცხადებით, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია აკვაკულტურის ადგილობრივი წარმოების განვითარება და საერთაშორისო ბაზარზე ინტეგრაცია.

„საქართველოს გააჩნია უდიდესი პოტენციალი აკვაკულტურის განვითარებისთვის. ჩვენი მიზანია, სახელმწიფოსა და შესაბამისი სტრუქტურების მხარდაჭერით შეიქმნას ქართული მაღალი ხარისხის პროდუქტი“, - განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა თევზის დაავადებების საკითხზეც, რაც ამ დარგის განვითარებისა და ჯანსაღი პროდუქტის შექმნის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის დირექტორის თქმით, ლაბორატორიას აქვს სრული მზაობა ახალი კვლევის მეთოდების დასანერგად და ფერმერთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

შეხვედრა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა. მას აჭარის სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის“, სურსათის ეროვნული სააგენტოს, სოფლის განვითარების სააგენტოს, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კორეაში ქართული ღვინის, ალკოჰოლური სასმელების და სასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდის შესაძლებლობები განიხილეს

დარინა ბაბაიძე 27 48 93

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე კორეის რესპუბლიკის დელეგაციის წევრებს შეხვდა. იური ნოზაძემ საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის 30-წლიანი დიპლომატიური ურთიერთობის მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების სურვილი გამოთქვა.

შეხვედრაზე მხარეებმა კორეაში ქართული ღვინის, ალკოჰოლური სასმელების და სასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდის შესაძლებლობები განიხილეს. აღინიშნა, რომ კორეის რესპუბლიკაში ქართული ღვინის მიმართ მოთხოვნა მზარდია, რაც ექსპორტის ზრდისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

მინისტრის მოადგილის განცხადებით, ქვეყნებს შორის გარემოსდაცვითი მიმართულებით ეფექტიანი თანამშრომლობის პრაქტიკა უკვე რამდენიმე წელია არსებობს. იური ნოზაძემ ყურადღება დაცული ტერიტორიების განვითარების მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების საკითხზე გაამახვილა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს მიერ „Busan World Expo 2030“-ის კორეის რესპუბლიკაში ჩატარების იდეის მხარდაჭერის მნიშვნელობას.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრას სამინისტროს შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელი პირები და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გამოძიება სსკ-ის 188-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

ბათუმში მდებარე რესტორან „ვოქსში“, რომელიც საცხოვრებელი კორპუსის ბოლო სართულზე მდებარეობს, 18 დეკემბერს, გვიან ღამით ხანძარი გაჩნდა.

რესტორანი სარემონტო სამუშაოების გამო დაკეტილი იყო. რესტორნის ტერიტორია მთლიანად დაიწვა, თუმცა ცეცხლი კორპუსის სხვა სართულებზე არ გავრცელებულა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

საგანგებო სიტუაციების სამსახურის ცნობით, ხანძრის ჩაქრობაში სახანძრო-სამაშველო ბრიგადა იყო ჩართული. აღნიშნული კორპუსის მცხოვრებლები აცხადებენ, რომ ამ დროისთვის მოსახლეობის დიდი ნაწილი საკუთარ სახლებში დაბრუნდა.

მომხდართან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 188-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

მოფრინეთში ორი საცხოვრებელი სახლი დაიწვა

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

გამთენიისას ზინა ბახტაძე-ბერიძის საცხოვრებელ სახლს ცეცხლი მოედო. მეზობლები უმალვე სტიქიას შეებრძოლნენ, თუმცა ალმოდებული სახლიდან რაიმეს გამოტანა ვერ შეძლეს.

შეტყობინებიდან რამდენიმე წუთში შემთხვევის ადგილზე მეხანძრეები მივიდნენ.

ცეცხლი მეზობლად არსებული ზებურ ბერიძის სახლზეც გადავიდა. შუახეველ მეხანძრეებთან ერთად სტიქიას უკვე ხულოელი და ქედელი მეხანძრეებიც ებრძოდნენ და მერაბ, თემურ ბერიძეების სახლი დაწვას გადაარჩინეს.

შემთხვევის ადგილზე მივიდნენ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მერის მოადგილე გურამ ზოიძე და სხვა ხელმძღვანელი პირები.

საქველმოქმედო კამპანია ბავშვებისთვის დაიწყო

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

„გალფის“ ქსელში ბავშვებისთვის ტრადიციული, მასშტაბური საქველმოქმედო კამპანია დაიწყო.

19 დეკემბრიდან 15 იანვრის ჩათვლით, Gulf Club-ის ბარათით შეძენილი საწვავის თითოეული ლიტრიდან 10 თეთრი საქველმოქმედო ანგარიშზე ავტომატურად შეგროვდება და მთელი საქართველოს მასშტაბით 1000-ზე მეტ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახზე გადანაწილდება.

კამპანიისთვის შეიქმნა სპეციალური პლატფორმა csr.gulf.ge სადაც ლაივ-რეჟიმში ყველას შეუძლია თვალი ადევნოს თანხის შეგროვების პროცესს. ასევე თითოეული მომხმარებელი ყოველ ტრანზაქციაზე SMS-ის სახით მიიღებს შეტყობინებას, თუ რა თანხას გადარიცხავს კამპანია მისი სახელით და იმ მომენტისთვის ჯამში რა თანხაა მობილიზებული.

თანხა, რომელიც კამპანიის ფარგლებში შეგროვდება, 19 იანვრისთვის უკლებლივ ყველა ოჯახზე გადანაწილდება.

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციისა და MAC Georgia-ს ორგანიზებით გამართულ დასკვნით კონფერენციას, სახელწოდებით - „დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის“, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი ზაზა დიასამიძე, სხვა მუნიციპალიტეტების პირველ პირებთან ერთად, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულების, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან და დარგის ექსპერტებთან ერთად ესწრებოდა. ღონისძიება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული დამოუკიდებელი ცხოვრების პროგრამის ფარგლებში მოეწყო. მომხსენებლებმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების სათანადოდ რეალიზებისა და მათთვის დამოუკიდებელი ცხოვრების თანაბარი შესაძლებლობების შექმნის მიზნით განხორციელებული პროგრამის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და აღნიშნული მიმართულებით, საქართველოში გატარებულ რეფორმებსა და გამოწვევებზე გაამახვილეს ყურადღება.

* * *

ენმ-ის ბათუმის ოფისში ნიკა მელია პარტიის ადგილობრივ წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრამდე ხმაური იყო ოფისთან. პარტიის ლიდერ ნიკა მელიას „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი აქტივისტი მიხეილ სააკაშვილისთვის ბოდიშის მოხდას სთხოვდა. აქტივისტის განცხადებით, ნიკა მელიას ბრალი მიუძღვის იმაში, რომ უმოქმედოდაა და მიხეილ სააკაშვილის გასათავისუფლებლად არაფერს აკეთებს, რის გამოც, სიტყვიერი დაპირისპირება იყო ადგილობრივი ორგანიზაციის ლიდერებსა და აღნიშნულ პირს შორის.

* * *

ბათუმში დასრულდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ჩემპიონთა თასის მფლობელ ვალერი ალთაბაევის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი კალათბურთში. შეჯიბრება, რომელიც 2012 წლიდან ტარდება, 16 წლამდე კალათბურთელთა შორის გაიმართა და მასში კლუბი „ბათუმი“, „ბასკო 2019“, ქუთაისის და ფოთის გუნდები მონაწილეობდნენ. შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდა. „ბათუმმა“ და „ქუთაისმა“ ორ-ორი შეხვედრა მოიგეს და გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, რომელიც „ბათუმის“ გამარჯვებით 81:76 დასრულდა. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში კი ფოთელმა კალათბურთელებმა „ბასკო 2019“ დაამარცხეს. ტურნირის საუკეთესო მოთამაშე „ბათუმის“ კალათბურთელი დიანის გრიგორიანი გახდა. გამარჯვებულები და პრიზიორები სხვადასხვა ნომინაციაში გამოვლინდნენ.

* * *

ბათუმის საკალათბურთო გუნდმა საქართველოს სუპერლიგის მე-9 ტურის მატჩში „ტიტებს“ უმასპინძლა და დამაჯერებელი ანგარიშით 97-79 დაამარცხა. მასპინძლებს 16 ქულით, 5 მოხსნითა და 3 გადაცემით კაილი რიდლიმ ულიდერა, სტუმართაგან კი, 16 ქულით და 3 მოხსნით აკაკი ლომოური გამოირჩა. ამ დროისთვის შავიზღვისპირელები სუპერლიგის სატურნირო ცხრილში 3 მოგებითა და 5 მარცხით მე-6 პოზიციაზე იმყოფებიან.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელი – ახალი შესაძლებლობის ფანჯარა

რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ამ დღეებში ხელი მოეწერა შეთანხმებას „აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოს, რუმინეთისა და უნგრეთის მთავრობებს შორის მწვანე ენერგიის განვითარებისა და გადაცემის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის თაობაზე“. დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს, აზერბაიჯანის, რუმინეთისა და უნგრეთის მთავრობის მეთაურებმა.

ხელმოწერის ცერემონიას ესწრებოდნენ ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი და რუმინეთის პრეზიდენტი კლაუს ვერნერ იოჰანისი. დოკუმენტის ხელმოწერის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ამ პროექტის განხორციელების შედეგად, საქართველოს, რუმინეთის, აზერბაიჯანისა და უნგრეთის ელექტროგადამცემი ხაზებისა და სისტემების დაკავშირებით, ევროპა შეძლებს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონს დაუკავშირდეს. მისივე თქმით, არსებულმა გეოპოლიტიკურმა გამოწვევებმა და უკრაინაში მიმდინარე ომმა უფრო მეტად გამოკვეთა დივერსიფიკაციისა და მედეგობის საჭიროება ენერგოუსაფრთხოების სფეროში გადაუდებელი გამოწვევების მოსაგვარებლად. პრემიერმა აღნიშნა, რომ გეოსტრატეგიული მდებარეობა საქართველოს ბუნებრივად აქცევს დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელ ხიდად ისევე, როგორც - ზღვაზე წვდომის არმქონე სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების კარიბჭედ.

- რამდენიმე წლის წინ საქართველოს ინიციატივით დაიწყო მუშაობა პროექტზე, რომელიც გულისხმობს კავკასიის რეგიონისა და ევროპის ენერგეტიკულ დაკავშირებას მაღალი ძაბვის წყალქვეშა გადამცემი ხაზის საშუალებით. დღეს, მწვანე ენერგიის განვითარებისა და გადაცემის სფეროში აზერბაიჯანის, საქართველოს, რუმინეთისა და უნგრეთის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერით ვადასტურებთ მზადყოფნას მწვანე ენერგიის მიწოდების კონტექსტში მჭიდრო თანამშრომლობისთვის. კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს განახლებადი წყაროებიდან ჭარბი ენერგიის წარმოების მიმართულებით, რომელიც შეიძლება მეზობელ ქვეყნებს მიეწოდოს. ევროპის გარდა, ყველა მეზობლისათვის ენერგიის მისაწოდებლად გვაქვს საჭირო ინფრასტრუქტურა. შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი კაბელი ამ მხრივ მნიშვნელოვან პერსპექტივას გვანიჭებს. ზემოხსენებული პროექტით მოხდება განახლებადი ენერგიის სექტორის განვითარების ხელშეწყობა და გაიზრდება ტრანზიტისა და ვაჭრობის შესაძლებლობები ევროკავშირსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონს შორის. ამ პროექტის განხორციელების შედეგად, საქართველოს, რუმინეთის, აზერბაიჯანისა და უნგრეთის ელექტროგადამცემი ხაზებისა და სისტემების დაკავშირებით, ევროპა შეძლებს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონს დაუკავშირდეს. 2020 წლის ივნისში, შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის წინასწარი ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე, მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა ანგარიში, რომლითაც დადასტურდა ზემოხსენებული პროექტის ეკონომიკური მიზანშეწონილობა. საქართველოს მთავრობამ 2021 წლის 26 აპრილს გამოაცხადა კონკურსი შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელისა და ციფრული კავშირის მშენებლობის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ჩასატარებლად. შერჩევა მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურებით განხორციელდა და გამოცხადდა გამარჯვებული. კვლევა 2022 წლის 11 მაისს დაიწყო და 18 თვეში დასრულდება. ამ მიმართულებით, ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ რეგიონში ურთიერთჩართვისა და ენერგოტრანზიტის შესაძლებლობათა განვითარება სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხია ჩემი მთავრობისთვის. საქართველო, სანდო სატრანზიტო პარტნიორის რანგში, მნიშვნელოვანი მდგენელია ჰიდროორესურსების მიწოდების ჯაჭვში კასპიის ზღვის აუზიდან დასავლეთისკენ ენერგოტრანზიტის მთავარ რეგიონულ მარშრუტში. ამ პროექტის განხორციელებას ახალ განზომილებაში გადაჰყავს სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება ჩვენს ქვეყნებს შორის. კვლავ მინდა დავადასტურო, რომ საქართველოს უდიდესი პოტენციალი აქვს განახლებადი ენერგიის წარმოებისა და ექსპორტის მიმართულებით, რაც ევროპის ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებაში თავის წვლილს შეიტანს, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდა ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი. როგორც მან განაცხადა, შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელი იქნება ახალი შესაძლებლობის ფანჯარა.

- რუსეთის ომის დაწყების შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ წიაღისეულისა და რუსული ენერგიისთვის უარი გვეთქვა და ჩვენი პარტნიორობა გაგვეძლიერებინა - აი, ეს პარტნიორობა, რომელიც ამ დარბაზშია და ეს მუშაობს! ევროკავშირმა შეძლო შეემცირებინა რუსული რესურსების ათვისება და ეს არ არის მხოლოდ ახალი გეოპოლიტიკური ენერგოუსაფრთხოების გზა, ეს არის ასევე სამომავლო ინიციატივების საფუძვლის შექმნა სუფთა ხელმისაწვდომი ენერგორესურსების მიღების კუთხით. ეს ეხება განახლებად ენერგიას, პლანეტის დაცვას, ჩვენს ქვეყნებში გამომუშავებულ ენერგიას, სამუშაო ადგილების გაზრდას, უსაფრთხოებას, დამოუკიდებლობას და ძალიან მიხარია, რომ ეს შეთანხმება განახლებად ენერგიაზე ასეთ აქცენტს აკეთებს. ამ განახლებადი ენერგიის მზარდი წვლილის ინტეგრაციისთვის ჩვენ გვჭირდება უფრო მეტი ჩართვა და ამისთვის არის მნიშვნელოვანი რუმინეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ეს ახალი ელექტროკაბელი. ეს ნამდვილად ძალიან ამბიციური პროექტია. ეს დაგვაკავშირებს შავი ზღვის ორივე მხარეს და კასპიის ზღვას. შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელი იქნება ახალი გადაცემის ხაზი და ახალი შესაძლებლობის ფანჯარა. ეს პროექტი ჩვენ მოგვცემს და საქართველოს მიცემს ევროპულ დანიშნულებას და ძალიან ბევრ სარგებელს, საქართველოს აქცევს ელექტროენერგიის ჰაბად და შიდა ენერგობაზარსაც გააუმჯობესებს. საბოლოო ჯამში, შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროენერგიის კაბელი დაეხმარება ჩვენს მეზობლებს მოლდოვაში და დასავლეთ ბალკანეთში. რა თქმა უნდა, უკრაინას ეს დაეხმარება ქვეყნის რეკონსტრუქციაში, - აღნიშნა ევროკომისიის პრეზიდენტმა.

„ეს არის ამბიციური შეთანხმება, რომელიც ცხადყოფს, რომ ჩვენ შეგვიძლია ერთად ფასეული წვლილი შევიტანოთ ევროპის ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებაში“, - ასე შეაფასა ოთხმხრივი სტრატეგიული პარტნიორობა რუმინეთის პრეზიდენტმა კლაუს იოჰანისმა. მისივე თქმით, შეთანხმების მთავარი ამოცანა არის ენერგოუსაფრთხოება და რეგიონალური თანამშრომლობა.

- მადლობა აქ ყოფნისთვის, პარტნიორობისთვის და ამ უზადოდ მნიშვნელოვანი ოთხმხრივი შეთანხმების ხელმოწერისთვის, რომელიც გულისხმობს სტრატეგიულ პარტნიორობას მწვანე ენერგიის განვითარების და მიწოდების შესახებ აზერბაიჯანის, საქართველოს, რუმინეთის და უნგრეთის შეთანხმებას. ჩვენი მთავარი ამოცანა არის ენერგოუსაფრთხოება და რეგიონალური თანამშრომლობა. ეს საკითხები უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტები იყო რუმინეთისთვის ჩვენი საგარეო პოლიტიკის კონტექსტში და ასევე ჩვენი ეროვნული განვითარების სტრატეგიისთვის. ეს საკითხები მთავარი პრიორიტეტი იყო ევროკავშირისთვისაც, რადგან არსებული უსაფრთხოების სიტუაციისა და სამხედრო აგრესიის გამო, რომელიც უკრაინაში მიმდინარეობს, გვჭირდება უკეთესი თანამშრომლობა და მეტი სოლიდარობა, საერთო გამოწვევის დასამარცხებლად, - განაცხადა რუმინეთის პრეზიდენტმა. მისივე თქმით, შეთანხმება ქმნის ჩარჩოს გრძელვადიანი თანამშრომლობისთვის აღნიშნულ ქვეყნებს შორის სხვადასხვა ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებით.

- პირველი არის წარმოება, ტრანსპორტირება და ვაჭრობა სუფთა ენერგიით; მეორე - განვითარება ახალი გადამცემი ხაზებისა და ინფრასტრუქტურისა, სახელდობრ - შავი ზღვის ელექტროენერგიის წყალქვეშა კაბელი; მესამე - ერთობლივი პროექტები მწვანე ჰიდროენერგიის და მეოთხე არის - ენერგოეფექტურობა... ჩვენი ენერგოთანამშრომლობა არის სტრატეგიული გამოწვევების პასუხი, რომლითაც გაძლიერდება ჩვენი ენერგომედეგობა და უზრუნველყოფილი იქნება დივერსიფიკაცია როგორც წყაროების, ასევე მიწოდების არხების, - თქვა კლაუს იოჰანისმა.

„ამ შეთანხმების განხორციელება მწვანე ენერგიის განვითარებისა და გადაცემის შესახებ სტრატეგიული პარტნიორობის კუთხით, რომელსაც ხელს ვაწერთ დღეს, იქნება ძალიან დიდი წვლილი ევროპის ენერგოუსაფრთხოების საქმეში“, - განაცხადა ცერემონიაზე აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა. როგორც მან აღნიშნა, წელს, ივლისში, ურსულა ფონ დერ ლაიენის ვიზიტი აზერბაიჯანში აღინიშნა ურთიერთგაგების შეთანხმებისა და მემორანდუმის ხელმოწერით აზერბაიჯანსა და ევროკავშირს შორის ენერგოუსაფრთხოების სფეროში და ამ დოკუმენტის განხორციელება უკვე დაიწყო.

- აზერბაიჯანი აფართოებს თავის გეოგრაფიულ არეალს ბუნებრივი აირის მიწოდების კუთხით ევროპის მიმართ. ეს არის ორივე მხარისთვის მომგებიანი პოზიცია. ევროპამ უნდა გააძლიეროს თავისი ენერგოუსაფრთხოება, აზერბაიჯანმა კი უნდა მოიპოვოს უსაფრთხო ბაზარი გასაღებისთვის. დღეს ვიწყებთ კიდევ ერთი ენერგეტიკული ხიდის მშენებლობას აზერბაიჯანიდან ევროპის მიმართულებით. ჩვენი ქვეყნები აპირებენ, რომ გახდნენ ევროპის სანდო მიმწოდებლები და ეს, ძირითადად, ეხება მწვანე ენერგიას. აზერბაიჯანის განახლებადი ენერგოპოტენციალი 27 გიგავატია. ეს არის მზის და ჰიდრო, ასევე, ქარის ენერგია კასპიის ზღვიდან. ერთად, ჩვენ, სტრატეგიული პარტნიორები, ვაპირებთ სამგიგავატიანი ქარისა და ერთგიგავატიანი მზის ენერგიის გამომუშავებას 2027 წლისთვის და ექსპორტზე გატანას. 2027 წლისთვის ვაპირებთ, რომ დამატებითი წარმადობა შევქმნათ თითქმის 6 გიგავატის ოდენობით. ერთადერთი კომპანია აპირებს 10-გიგავატიანი მწვანე ენერგიის წარმოებაში განახორციელოს კაპიტალდაბანდება. 2 დღის წინ, აზერბაიჯანის ენერგეტიკის სამინისტრომ ხელი მოაწერა ჩარჩო-შეთანხმებას კიდევ ერთ გლობალურ კომპანიასთან. ეს კომპანია აპირებს კაპიტალდაბანდება განახორციელოს 12 გიგავატი ქარისა და მზის ენერგიის გამომუშავებაში აზერბაიჯანში. ამიტომ, მინიმუმ 3 გიგავატი მიწოდების წარმადობა შეიქმნება აზერბაიჯანული ექსპორტის პირველ ფაზაში. იმისთვის, რომ ეს მიზნები იქნეს მიღწეული, ჩვენ ქმედითად უნდა ვიმუშაოთ. მე ყველა ჩვენგანს წარმატებას ვუსურვებ, - განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა.

„უნიკალური ინვესტიცია - მთელ მსოფლიოში გავლენის მოსახდენად“ - ასეთია უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანის შეფასება. როგორც მან ცერემონიაზე განაცხადა, ეს იქნება სასურველი გადაწყვეტა პრობლემისა.

- ჩვენ ვაპირებთ ყველაზე გრძელი ელექტროენერგიის კაბელი ავაგოთ. ეს არის ინოვაცია. მე რომ ვიყო 30 წლით ახალგაზრდა, ვიტყოდი, რომ ეს არის ნამდვილი როკ-ენ-როლი, რომ ყველაზე გრძელი კაბელი იდება შავი ზღვის ფსკერზე. მე მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს მეგობრებს აზერბაიჯანში, საქართველოსა და რუმინეთში და ევროკომისიის პრეზიდენტს, რომ დღეს გვაქვს საშუალება, ენერგოსექტორში ხელი მოვაწეროთ ამ შეთანხმებას, - განაცხადა მან.

შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის მშენებლობის პროექტის ინიციატორი და იდეის ავტორი საქართველოა. მას მსოფლიო ბანკის სესხით სახელმწიფო აფინანსებს. რამდენიმე მილიარდი ევროს მობილიზებისთვის მზადაა ევროკავშირიც.

უცხოეთი

რუსეთი უკრაინაში გაჭიანურებული ომისთვის ემზადება და ნატოში უკრაინის მხარდამჭერებმა იარაღის გაგზავნა უნდა განაგრძონ მანამ, სანამ პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი არ გააცნობიერებს, რომ ბრძოლის ველზე ვერ გაიმარჯვებს, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა. „რუსეთი არასათანადოდ არ უნდა შევაფასოთ. რუსეთი ხანგრძლივ ომს გეგმავს. ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი მეტი ძალების მობილიზებას ახდენენ, რომ მზად არიან ასევე ბევრი მსხვერპლისთვის,“ - განაცხადა სტოლტენბერგმა და დასძინა: „დიდი ალბათობით, ეს ომი დასრულდება მოლაპარაკების მაგიდასთან, როგორც ომების უმეტესობა, მაგრამ ნებისმიერმა გამოსავალმა უნდა უზრუნველყოს უკრაინის, როგორც სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამარჯვება“.

* * *

ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ დარტყმების გამო პუტინის წინააღმდეგ ჰააგაში შესაძლოა გამოძიება დაიწყოს, - ამის შესახებ გერმანიის იუსტიციის მინისტრმა მარკო ბუშმანმა განაცხადა. მისი თქმით, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამო რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი შესაძლოა ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიების ობიექტი გახდეს და ეს „ჰიპოთეტური საქმე არაა“. მინისტრმა აღნიშნა, რომ პუტინის პირდაპირი პასუხისმგებლობის ნიშნად შესაძლოა მისი სატელევიზიო გამოსვლები გამოდგეს, სადაც რუსეთის პრეზიდენტი ამბობს, რომ ასეთი დარტყმები განზრახ ტაქტიკას წარმოადგენს.

* * *

ირანს რუსეთისთვის უპილოტო საფრენი აპარატების მიწოდებაში ადანაშაულებენ, რომელიც უკრაინაზე თავდასხმისთვის გამოიყენება. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ხელმძღვანელმა, უილიამ ბერნსმა განაცხადა, რომ ირანსა და რუსეთს შორის სამხედრო თანამშრომლობა „ნამდვილ საფრთხეს უქმნის“ აშშ-ის მოკავშირეებს ახლო აღმოსავლეთში. ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა ნასერ კანანმა განცხადებას „უსაფუძვლო“ უწოდა და დასძინა, რომ თეირანი „დამოუკიდებლად მოქმედებს თავისი საგარეო ურთიერთობების რეგულირებაში და არავისგან ნებართვას არ ითხოვს“

* * *

ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში აფეთქებისა და იარაღით თავდასხმის შედეგად, სულ მცირე ცხრა პოლიციელი დაიღუპა. თავდასხმა ნავთობით მდიდარ ქალაქ კირკუკთან მოხდა. მომხდარზე პასუხისმგებლობა დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო. თავდასხმა ბომბის აფეთქებით დაიწყო, რომლის სამიზნე პოლიციელების სატვირთო ავტომობილი იყო.

* * *

პერუს ახალმა პრეზიდენტმა დინა ბოლუარტემ გადადგომაზე უარი თქვა მას შემდეგ, რაც პოლიციასა და ქვეყნის ექს-პრეზიდენტის მომხრეებს შორის შეტაკებები მოხდა. მისი თქმით, მისი წასვლა პოლიტიკურ კრიზისს ვერ გადაწყვეტს. ამასთან, ბოლუარტემ პარლამენტს მოუწოდა, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შესახებ მის წინადადებას მხარი დაუჭიროს.

გვერდი მოამზადა
ია შველიძემ

მესიჯი, რომელიც მოსახლეობამდე უნდა მივიტანოთ

ქართველი ექიმების დიდი წარმატება – ტუბერკულოზის მედიკამენტური მკურნალობა 2 წლიდან 6 თვემდე შეამცირეს

ზიქრია დავლაძე 579 25 25 72

ფილტვის ტუბერკულოზი ჰაერით გადამდები დაავადებაა, რომელიც გამოწვეულია მიკობაქტერია ტუბერკულოზის მიერ. დაავადება მსოფლიოში სიკვდილიანობის 10 მოწინავე მიზეზს შორისაა. იგი აგრეთვე წარმოადგენს აივ ინფიცირებულთა გარდაცვალების მთავარ მიზეზს.

ტუბერკულოზი განკურნებადია. როგორც კვლევებმა აჩვენა, 2000-დან 2017 წლამდე მკურნალობამ მსოფლიოში 54 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პრევენციის გაუმჯობესების საჭიროება. შესაბამისად, არსებობს დამატებით სამეცნიერო ინფორმაციის გადაუდებელი აუცილებლობაც. მიმდინარეობს სხვადასხვა კვლევა ამ ინფორმაციის მისაღებად. აღნიშნული კვლევები ადგენს ტუბერკულოზის დიაგნოსტიკის, ახალი მკურნალობის უსაფრთხოების და ეფექტურობის გზებს. წარსულში, როდესაც არ იყო ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მაღალეფექტური სამკურნალო საშუალებები, დაავადებულთა მკურნალობას საავადმყოფოებსა და სანატორიუმებში დიდი დრო სჭირდებოდა, მკურნალობა მიმართული იყო ორგანიზმის იმუნიტეტის ასამაღლებლად და გასაძლიერებლად, რათა თავად შებრძოლებოდა დაავადებას. ასეთი მიდგომა დღეს მსოფლიოში აღარ გამოიყენება. ახალი გაიდლაინებით ტუბერკულოზის მკურნალობის პროცესიც შემცირებულია. თუ ადრე მკურნალობა ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და ყოველდღიურად უამრავი მედიკამენტისა და გადასხმის მიღებას ითვალისწინებდა, ახლა სულ რაღაც 6 თვის განმავლობაში პაციენტს ტუბერკულოზისგან სრულად განკურნება შეუძლია. წამლების მიმართ მგრძნობიარე ტუბერკულოზის სამკურნალოდ ამჟამად რეკომენდებულია რამდენიმე მედიკამენტით 6-თვიანი მკურნალობა. თუ წამლების მიმართ მგრძნობიარე ტუბერკულოზის მკურნალობა არასრულყოფილად ჩატარდა, გამოტოვებული დოზების, ან შეწყვეტილი მკურნალობის გამო პაციენტს შეიძლება განუვითარდეს დაავადების რეციდივი ანუ რელაფსი, ან განვითარდეს ტუბერკულოზის წამალგარე ფორმა. წამლების მიმართ მგრძნობიარე ტუბერკულოზის მქონე პაციენტებს მკურნალობენ ყოველდღიურად, რიფამპიცინის შემცველი 6-თვიანი სამკურნალო რეჟიმით. ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტები, რომლებიც ძირითადად, გამოიყენება წამლების მიმართ მგრძნობიარე ტუბერკულოზის სამკურნალოდ, არის შემდეგი: 1.იზონიაზიდი, 2 რიფამპიცინი, 3. პირაზინამიდი, 4. ეთამბუტოლი. ტუბერკულოზის ზოგიერთი ფორმა გამძლეა, ანუ არ პასუხობს ზოგიერთ ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტს. მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი გამძლეა რიფამპიცინისა და იზონიაზიდის მიმართ, რომლებიც პირველი რიგის ყველაზე ეფექტური ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტებია. რეზისტენტობა შეიძლება იყოს შეძენილი ან გადაცემული. აღნიშნული ფორმის ტუბერკულოზის მკურნალობა უფრო ხანგრძლივია და საჭიროებს მკურნალობას მეორე რიგის მედიკამენტებით, ზოგჯერ საინიექციო მედიკამენტებითაც.

ამჟამად, რეკომენდებული მკურნალობის ხანგრძლივობა 9-დან 20 თვემდეა, რაც სირთულეს წარმოადგენს როგორც პაციენტისთვის, ასევე ჯანდაცვის სისტემისთვისაც, ხანგრძლივობისა და მკურნალობის პროცესში განვითარებული არასასურველი მოვლენების გამო. პაციენტები და ჯანდაცვის მუშაკები თანხმდებიან, რომ ეფექტური ხანმოკლე სრული ორალური მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობის რეჟიმი დაეხმარება პაციენტს მკურნალობის დასრულებასა და სრულად განკურნებაში. აღნიშნულ ხანმოკლე რეჟიმს შეუძლია, შეამციროს რეზისტენტული ტუბერკულოზის გავრცელება. იმედისმომცემი „ახალი ხანმოკლე რეჟიმები“ ამჟამად შესწავლის პროცესშია მკურნალობის გამოსავლების გაუმჯობესებისა და დაავადების ტვირთის შემცირების მიზნით. ახალი რეჟიმები იკვლევს ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა - საინიექციო მედიკამენტების ამოღება და ახალი მედიკამენტების, ბედაქილინისა და პრეტომანიდის ჩართვა. პროფესორ ეკა სანიკიძის თქმით, ტუბერკულოზთან ეფექტურად ბრძოლისთვის აუცილებელია კონკრეტულ პაციენტზე ორიენტირებული მუშაობა, რაც იმას გულისხმობს, რომ ინდივიდუალურად უნდა მოხდეს პრობლემის შესწავლა და ამ პრობლემის მყისიერი მოგვარება, თუმცა თუ პაციენტი მკურნალობას წყვეტს, ან უარს ამბობს მედიკოსების დახმარებაზე, შესაძლოა შედეგები სავალალო აღმოჩნდეს.

- საქართველოში ტუბერკულოზის პროგრამა იმდენად წარმატებულია, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია აღიარებს როგორც ყველაზე პროგრესულს, საუკეთესოს თავისი შედეგით. ამან გამოიწვია ის, რომ ეს მოდელი გახდა სამაგალითო და ჩვენი ექიმები ატარებენ ტრენინგებს სხვადასხვა ქვეყანაში. ჩვენთან ჩამოდიან პაციენტები იმისათვის, რომ განიკურნონ. ერთი პრობლემაა მხოლოდ - პროგრამის გავრცელება, ცნობადობა მსოფლიოს მასშტაბით არ ხორციელდება. იმხელა წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა ექიმებმა და არავინ იცის ამის შესახებ. ახალმა გაიდლაინმა თავისი სიტყვა თქვა მსოფლიოში და ამაში ქართველი ექიმების დიდი წვლილია. ეს ხალხი არა მხოლოდ ექიმობს, არამედ ატარებს კვლევებს. ისინი არიან შეფასებულნი როგორც საუკეთესოები. უმაღლეს დონეზეა აღჭურვილი ჩვენი ტუბერკულოზის ცენტრი. ნახველის ტრანსპორტირების უზრუნველყოფაშიც პირველები ვიყავით. პაციენტი რომ არ ჩამოსულიყო ნახველის ჩასაბარებლად, სპეციალური დანადგარით ხდებოდა ამ ნახველის ტრანსპორტირება და შემდეგ მასზე კვლევების ჩატარება. ტუბდაავადებულები და მათი ოჯახის წევრები ინფორმაციულ ვაკუუმში არიან, რის გამოც სტიგმა მაღალია. სწორი მკურნალობის შემთხვევაში მე-5-6 დღიდან პაციენტი ვერ ასნებოვნებს ჯანმრთელ ადამიანს. ის გამოყოფს ბაქტერიას, მაგრამ არ არის გადამდები, მკვდარია ეს ბაცილა, ძალაგამოლეული. ამისთვისაა საჭირო ინფორმაციის გავრცელება, სწორად მიტანა ნებისმიერ პირამდე. მკურნალობიდან ორ თვეში ტუბერკულოზით დაავადებულს შეუძლია ჩვეულებრივად გააგრძელოს ცხოვრება - იაროს სასწავლებელში, გააგრძელოს მუშაობა, მაგრამ მკურნალობა უნდა მიიყვანოს ბოლომდე. შესაძლოა მკურნალობის დაწყებიდან 2 თვეში პაციენტმა თავი იგრძნოს ბევრად უკეთ, ვიდრე თუნდაც დაავადებამდე. ამის გამო ხშირია მკურნალობის შეწყვეტა, ამ შემთხვევაში მიძინებული მიკობაქტერია იღვიძებს და ისევ იჩენს თავს. მთავარია, ეს მესიჯი მივიტანოთ მოსახლეობამდე, რომ არ შეიძლება შუა გზაში მივატოვოთ მკურნალობის პროცესი. მედიას დიდი როლი აქვს ვირუსზე ცნობადობის გაზრდაში. ჯანდაცვის მენეჯმენტში ნდობა და კომუნიკაციის სტრატეგია მნიშვნელოვანია, ეს არის მასმედიაზე დამოკიდებული. როდესაც ინფორმაცია სწორად გავრცელდება, ეს პრობლემაც მალევე აღმოიფხვრება, - განაცხადა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ეკა სანიკიძემ. შეგახსენებთ, რომ ტუბერკულოზი მსოფლიოში ერთ-ერთ საშიშ დაავადებად ითვლება და ის დღემდე გლობალურ საფრთხედაა გამოცხადებული. მის დასამარცხებლად მეცნიერული კვლევები ისევ მიმდინარეობს.

აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით...

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ „ისრაელის სახლის“ ორგანიზებით თბილისში გამართულ ბიზნესფორუმში მიიღო მონაწილეობა

საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელმა ფორუმის მონაწილეებს აჭარის შესახებ ვიდეოროგოლი წარუდგინა და ვრცელი ინფორმაცია მიაწოდა რეგიონში განხორციელებული მასშტაბური პროექტების, ბიზნესგარემოს ხელმისაწვდომობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ. მისი სიტყვებით, აჭარის რეგიონი ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობით, ისტორიით, მულტიკულტურული საზოგადოებით, ტრადიციებითა და სტუმართმოყვარეობით გამორჩეული მხარეა საქართველოში, რომელიც ბოლო წლებში ქვეყნის მთავარ სავიზიტო ბარათად იქცა და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებაში.

„ფორუმზე საქართველოს პარლამენტის წევრებმა გივი მიქანაძემ და დავით სონღულაშვილმა საქართველო-ისრაელს შორის არსებულ მეგობრულ და პარტნიორულ ურთიერთობებზე, საინვესტიციო და ბიზნესგარემოზე, ორ ქვეყანას შორის არსებულ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავებაზე ისაუბრეს. ფორუმის მონაწილეებს ისრაელიდან შემოსული ინვესტიციით განხორციელებული წარმატებული პროექტების შესახებ ინფორმაცია საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის პრეზიდენტმა იციკ მოშემ გააცნო. სამომავლოდ საქართველოს მიმართ ისრაელის ბიზნესწრეების დაინტერესების და ახალი კომპანიების მოზიდვის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი ქნესეთში ისრაელი-საქართველოს მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელმა დევიდ ბიტანმა.

ბიზნესფორუმი მუსიკალური პროგრამით გაიხსნა და ებრაულ დღესასწაულ „ხანუქის“ - სანთლის ანთების ცერემონიით დასრულდა“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

თქვენ როგორ ფიქრობთ?

რატომ შეიძინა ზოგიერთმა ბათუმელმა ხელჯოხი მაშინ, როცა ფეხი არ სტკივა?

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

დიდი ხანი არაა, რაც ოზურგეთი-ჩოხატაურის ტრასაზე ვიმგზავრე და გამოაცა უპატრონოდ მიტოვებულმა ათობით ძაღლმა. რატომ იქცევიან ასე ადამიანები, რატომ წირავენ ოთხფეხა მეგობრებს. ეს, ერთი მხრივ, ძალიან ცუდია, მეორე მხრივ, დიდი პრობლემა გახდა უპატრონო ძაღლები ჩვენი ქალაქისთვისაც. ამ რამდენიმე დღის წინ, ზღვისპირა პარკში, ველოსიპედით სეირნობის დროს, ჩემს მეზობელს - 77 წლის კაცს, ერთად რამდენიმე ძაღლი გამოეკიდა. მან თავი ვეღარ შეიკავა, წაიქცა, ძაღლები ძლივს მოიშორა, ხელ-ფეხი დაისისხლიანა...

ახლახან ახლობელს შევხვდი. ვხედავ, ხელჯოხი უჭირავს. ვიფიქრე, ალბათ, ფეხი იტკინა. მოვიკითხე და... იცით, რა მითხრა? ძაღლების მოსაგერიებლად შევიძინეო: „ამ ბოლო დროს ქალაქში ძალიან სერიოზულად დგას უპატრონო ძაღლების პრობლემა. გარდა იმისა, რომ ტროტუარები, სკვერები, მინდორი დასვრილია ფეკალიებით, პარკებში, ბაღებში ხეებსაც ვერ მიეკარები. არადა, ყველგან ხომ ჩვენი ბავშვები სეირნობენ, თამაშობენ. მეორე, არანაკლები პრობლემაა ისიც, რომ ქალაქსა და ზღვისპირა პარკებში ძაღლები ჯგროდ დადიან, გამვლელს გავლის საშუალებას არ აძლევენ. არაერთმა ადამიანმა შეიძინა ძაღლებისგან დაცვის სხვადასხვა საშუალება, მათ შორის, გასაშლელი ანტენა, ხელჯოხები. ბევრი აპირებს ელექტროშოკის შეძენას, რადგან ძალიან საშიში გახდა ქუჩებში, პარკებსა და სკვერებში გავლა. ძაღლები მისდევენ ველოსიპედებს, მოტოციკლეტებს, მოპედებს, მათზე მსხდომ ადამიანებს გავლის საშუალებას არ აძლევენ. თუ ისინი მოიშორებენ, ძაღლები შეტევით სხვაზე გადადიან. მათი ნაკბენი კი მოგეხსენებათ, რა საშინელებაა. გასაგებია, რომ ძაღლი ჩვენი მეგობარია და მათ დახოცვას არც არავინ ითხოვს, თუმცა ეს სერიოზული პრობლემა ცივილურად უნდა მოგვარდეს. ხელჯოხი გუშინ შევიძინე, მანამდე გასაშლელი ანტენით დავდიოდი. რამდენიმე დღის წინ, ცნობილი „კუპატა“ ჯერ ქალბატონს გამოეკიდა, მერე მოპედს, მერე ჩემკენ გამოექანა, შარფი მოვიძრე და უმისამართოდ ვიქნევდი... მერე ეს ჯოხი შევიძინე. კიდევ ერთი - რატომ არავინ ამოწმებს ან აჯარიმებს პატრონებს იმის გამო, რომ ძაღლები ალიკაპის გარეშე გამოჰყავთ. მათგან ხშირად გაიგონებთ, არ იკბინებაო. ეს მათ არ ამართლებთ. მე მეშინია და გინდ - იკბინებოდეს და გინდ - არა!“.

P.S. ვფიქრობთ, ეს პრობლემა ამ ბოლო დროს სერიოზულად დადგა ქალაქში. რაღაც თუ არ მოგვარდა, მალე ყვალგან გავლა ძალიან გაჭირდება. გთხოვთ, თემასთან დაკავშირებით მოგვწეროთ თქვენი მოსაზრებები, წინადადებები, ჩვენ შესაბამის ორგანოებს გადავუგზავნით. ეგებ, გამოსავალი ერთად ვიპოვოთ.

რესპონდენტის თხოვნით, სურათს მხოლოდ ასე ვაქვეყნებთ.

„მინდა, სიყვარული ვისწავლოთ“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

სათაურად გამოტანილი ეს ფრაზა მრავალმხრივ შემოქმედ ***ნანა მომცელიძის*** *ცხოვრების მთავარი პრინციპი და მახასიათებელია. პოეტი, მხატვარი, ჟურნალისტი, ჟურნალ „ხატიმამულის“ მთავარი რედაქტორი და გამომცემელი, TV-12-ის საავტორო პროგრამის წამყვანი... - ეს არასრული ჩამონათვალია მისი მრავალფეროვანი საქმიანობისა, რასაც დიდი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით ეკიდება. სწორედ ამის დასტური იყო ამას წინათ აჭარის მწერალთა სახლში გამართული ნანა მომცელიძის შემოქმედებითი საღამო, სადაც მას მოღვაწეობისთვის საპატიო დიპლომი და საჩუქრები გადასცეს, გულითადი მადლობა გადაუხადეს.*

- ქალბატონო ნანა, ზამთარიც დადგა და... მერამდენედ შეეგებეთ მას? თქვენი ბავშვობისა და ახალგაზრდობის ზამთრებიც გაიხსენეთ.

- მოგესალმებით, ძვირფასებო. უდიდესი მადლობა მოწვევისთვის. ორმოცდამეთორმეტე ზამთარს მოვესწარი. ისე გადავბიჯე ნახევარ საუკუნეს, ვერც მივხვდი. მართლაც, „წუთია წუთისოფელი“. ჩემი ბავშვობის და ახალგაზრდობის ზამთარი, გინდ - დაიჯერეთ, გინდ - არა, ზაფხულივით იყო - თბილი და მოსიყვარულე. მიხაროდა თოვლიც და ყინვაც, სხვა სიხალისე იყო. ახლა რომ ვადარებ, ზამთარი ცივია, ცივი - ყველა ასპექტით.

- როდის აინთო სულში სანთელი, თვალი და ყური რამ მიიპყრო, რამ გიბიძგათ შემოქმედებისაკენ?

- ალბათ ხუთი წლიდან... მახსოვს, როგორ მიყვარდა ძერწვა, აპლიკაციების კეთება, ჩემი ბებო როგორ მასწავლიდა ყაისნაღით ქსოვას. ძალიან ლამაზი ბებო მყავდა, თვალის ექიმი იყო. უკრავდა გიტარაზე, მღეროდა, ქსოვდა. ალბათ ბებია იყო ის ადამიანი, ფშაველი ქალი (ვაჟა-ფშაველას ახლო ნათესავი მამის მხრიდან), რომელსაც ვბაძავდი. ბევრი რამ შემიძლია გავიხსენო. თბილისში დავიბადე - ნახალოვკაში. ეს იყო სიყვარულის და ურთიერთობის უბანი. ულამაზესი ეზო გვქონდა, ღობეზე - ვარდებით. მახსოვს, ერთხელ როგორ დავაცალე ვარდებს ფურცლები და მთელი ეზო მოვხატე. დავხატე სახლები, ყვავილები და, რა ვიცი, კიდევ რა. მერე რომ შევხედე ფურცელგაცლილ ვარდებს, მახსოვს, როგორ ვტიროდი და ბოდიშს ვუხდიდი მათ. ალბათ ექვსი წლის ვიქნებოდი მაშინ. ათი წლისამ პირველი ლექსი დავწერე და დღემდე მახსოვს. მაისის ბოლო იყო. თავსხმა წვიმა მოვიდა. რატომღაც სახლში... ბოტები მეცვა. ჩვენს ეზოში ალუბალი ყვაოდა. წვიმის მერე მზე რომ გამოვიდა, ლექსი დავწერე:

„ჩვენთან აყვავდა ალუბლის ხე და
მზე ანათებდა ამ ხის ტოტებში.
დავიხედე და, უი, რას ვხედავ -
არ დავბაჯბაჯებ ისევ ბოტებში?!“.

წაიკითხა ბებომ და ახლაც ყურში მესმის მისი ხმა: „ბებო, შენ პოეტი ხარ“. მაშინ სულ არ მესმოდა, რა მითხრა, მაგრამ დღემდე მახსოვს.

- მრავალმხრივი შემოქმედი ბრძანდებით - წერთ, ხატავთ თექაზე, ხატმწერი ხართ, მღერით, ჟურნალს გამოსცემთ... და მაინც, სად შეძლით თქვენი სულის განსახორციელება?

- ჩემი მოკრძალებული შემოქმედება ხალხისაა, ჩემი მოსიყვარულე ადამიანების. მათთან ურთიერთობით ვცოცხლობ. იცით, როცა ვხატავ, ვწერ, ვმღერი, ყოველთვის მინდა, სხვამ ისიამოვნოს, ჩემს სულთან ახლოს მოვიდეს. ხატწერა სულ სხვა გარემოა ჩემთვის - რაღაც არაამქვეყნიური. თუ ვხედავ, ჩემ გარშემო სიცარიელეა, რაღაც სხვანაირი ლექსები მეწერება. უსიყვარულობა მთრგუნავს:

„ყოფნა შიშის და უმწეობის
ფრაგმენტად იქცა,
სიტყვა და აზრი გაუცხოვდა,
გადასხვაფერდა
და უზნეობამ დასაბამი სიძულვილს
მისცა,
სული კი ამდენ ფორიაქში უცებ
დაბერდა“.

ამიტომ ჩემს სულიერ სიმშვიდეს საზოგადოებასთან ურთიერთობაში, მათ სიყვარულში ვეძებ და ვხედავ.

- შემოქმედებასთან ერთად ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობითაც გამოირჩევით. უამბეთ მკითხველს ამის შესახებ.

- ორი წელია, რაც აჭარაში ვმოღვაწეობ და მინდა გითხრათ, რომ საოცარი ხალხი ხართ. ჩემ გარშემო თავი მოიყარა ისეთმა საზოგადოებამ, ვის გვერდითაც ყოფნა საოცნებოა. ჩემი საზოგადოებრივი საქმიანობის ძირითადი მიზანი აჭარის და დედაქალაქის მჭიდრო მეგობრული კავშირია. უამრავი საღამო მაქვს ჩატარებული ამ ორი წლის განმავლობაში. ვიწვევ ხელოვან ადამიანებს, აქედანაც ჩავდივართ თბილისში. ძალიან მეხმარებიან ჩემი მეგობრები აქაც და იქაც. ჩემი „ზღვარელები“ - ყოველთვის ჩემ გვერდით არიან. ვცდილობ, ჟურნალით „ხატიმამული“ საქართველოს მასშტაბით პოპულარიზაცია გავუწიო აჭარაში ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა ამოუწურავ არმიას, აღმოვაჩინო ახალბედა მარგალიტები, ესოდენ მრავლად რომ არის აჭარაში, გავიხსენო ამაგდარი ადამიანები, ვინც საფუძველი ჩაუყარა ამა თუ იმ მიმართულებას და, კიდევ და კიდევ, სიყვარულით გაჯერდეს ეს ურთიერთობები.

- როგორც ჟურნალ „ხატიმამულის“ მთავარ რედაქტორსა და გამომცემელს, ბევრი რამ გექნებათ სათქმელი მკითხველისთვის.

- ეს ჟურნალი ჩემი შვილია. უზომოდ მიყვარს. მოგეხსენებათ, დღეს ბეჭდურ მედიას ემსახურო, ძალიან რთულია - ბევრი ბარიერის გადალახვა მიწევს. ყოფილა შემთხვევა, ჩემი ნახატი გამიყიდია და სტამბაში წამიღია, მაგრამ ნელ-ნელა ვდგებით ფეხზე. ესაა 200-გვერდიანი ლიტერატურულ-შემეცნებითი ალმანახი, რომელიც ახალი წლიდან წელიწადში ექვსჯერ გამოვა. ვფიქრობთ მომავალში საერთაშორისო სტანდარტებამდე მივიდეთ. ჟურნალის გამორჩეული ნიშანია ის, რომ მისი გარეკანი დაეთმობა აჭარის იმ მხატვართა ნამუშევრებს, რომლებსაც საიუბილეო თარიღი შეუსრულდებათ. ჟურნალი საქართველოს მასშტაბით ვრცელდება. გვაქვს ძალიან ბევრი საინტერესო რუბრიკა. ვაფართოებთ ურთიერთობებს, ვგეგმავთ კონკურსებს, პრეზენტაციებს, საღამოებს. გეგმა ბევრია. ვნახოთ, რა გამოგვივა.

- ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტობა რომ მოგანდეს და აჭარაში მის ფილიალს ხელმძღვანელობთ, ცხადია, შემთხვევითი არ არის.

- აკადემიის ვიცე-პრეზიდენტობა ჩემი მეუღლის - ნიაზ ცივაძის ინიციატივა იყო. მან შესთავაზა პრეზიდენტს, აჭარაში გახსნილიყო ფილიალი, რათა არ ვყოფილიყავი საზოგადოებრივი საქმიანობის გარეშე. ახლა რასაც ვიტყვი, არსად მითქვამს, მაგრამ მინდა გულწრფელი ვიყო. საზოგადოების დიდი ნაწილი საკმაოდ უარყოფითად უყურებს ესოდენ მომრავლებულ აკადემიებს. ჩემი მუშაობის სტილი, გარკვეულწილად, შევცვალე. პრეზიდიუმის შექმნით მინდოდა მეჩვენებინა, რომ აკადემიაში განურჩევლად ყველას მიღება მიუღებელია. ეს წოდებები დამსახურების მიხედვით უნდა ეძლეოდეთ, არ შეიძლება აკადემიკოსის სტატუსების ასე დარიგება. ასევე რადიკალურად ვემიჯნები მოსაზრებას, რომ საწევროს ერთჯერადი შენატანით უნდა არსებობდეს აკადემია. ასე ნამდვილად ვერ განვითარდება. მე მსურდა თანამედროვე და ქვეყნისთვის საჭირო პროექტებში ჩაბმა და ძალ-ღონეს არ დავიშურებდი ამისთვის. მხოლოდ პიარითა და საღამოებით აკადემიის განვითარება სწორი არ მგონია. ყველა ის წევრი, რომელიც გვერდით მედგა და უზარმაზარი სახელი მოუტანეს აკადემიას, თბილისთან ასოცირდება. დიპლომები გაიცემა თბილისში. მე არ ვფლობ არანაირ საპასუხისმგებლო პოზიციას აკადემიის განვითარებისთვის. მუშაობის ასეთი სტილი სრულიად უხელფასოდ, რაშიაც პერსპექტივას ვერ ვხედავ, ჩემთვის მიუღებელია. თავად აკადემიას უზარმაზარი ისტორია აქვს. მას სათავეში უდგას ძალიან კარგი ხელმძღვანელი და ინტელიგენციის დიდი არმია, მაგრამ ჩემი ხედვა სხვაა, ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება და აკადემია დავტოვე. აჭარის წარმომადგენლობის წევრებთან კი მჭიდრო კავშირი აქვს პრეზიდენტს და გააგრძელებს იმ კურსს, რაც მას აქვს აღებული.

- ბათუმში სულ ორი წელია, ცხოვრობთ. პოპულარული ხართ - შეხვედრები, საღამოები, ღონისძიებები... ახლახან აჭარის მწერალთა სახლში შემოქმედებით საღამოზე დიპლომიც გადმოგცეს, არაერთი ჯილდო მიგიღიათ... ეს სტიმულია თქვენთვის თუ გაზრდილი პასუხისმგებლობა?

- რთული კითხვაა იმიტომ, რომ არც კი ვიცი, რა გიპასუხოთ. ბევრი წელი ვკითხულობდი ლექციებს, მქონდა საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება. დიდი დრო არაა, ხუთი წელია, რაც საქართველოს მწერალთა და მხატვართა შემოქმედებითი კავშირების წევრი ვარ. ამირჩიეს აკადემიის პრეზიდენტ გულნაზ ხარაიშვილის რეკომენდაციით. ის დღე ჩემთვის სხვა სამყარო იყო. ვერც ვაცნობიერებდი, რა ხდებოდა ჩემს თავს. გურამ ცერცვაძესა და მაყვალა გონაშვილს შორის გაოგნებული ვიჯექი. უდიდეს სიყვარულს ვგრძნობდი მათგან. დღემდე მეუხერხულება. საზოგადოების ერთი ნაწილი თვლის, რომ ზედმეტია ეს ყურადღება, რომ არ მეკუთვნოდა... ანა კალანდაძის პრემიამ კი ძალიან ბევრი სანერვიულო მომიტანა, მაგრამ მინდა იცოდეს საზოგადოებამ - მე ყველა ჯილდოს და პრემიას ვიღებ სიყვარულის გამოხატულებად, პასუხად ჩემი უზარმაზარი სიყვარულისა, რაც ხელოვნებისადმი და მათ მიმართ მაქვს. 25 ნოემბერს აჭარის მწერალთა სახლში ბატონმა დავით თედორაძემ ულამაზესი საღამო მომიწყო, ჯილდოც გადმომცა და საჩუქრებიც. ეს ჩემთვის სიყვარული, პატივისცემა, უზარმაზარი პასუხისმგებლობაა. მართალი გითხრათ, უფრო ვნერვიულობ, ვიდრე ვამაყობ.

- თქვენს წარმატებებს, საკუთარი თავის გარდა, ვის უმადლით? ამბობენ, რომ მხარში მეუღლე გიდგათ...

- აკი აღვნიშნე, რომ აჭარაში ჩემი ჩამოსვლა მეუღლეს უკავშირდება. ორი წელია, ჯვარი დავიწერეთ. დასაწყისში უმძიმესი პერიოდი გავიარეთ - ჩემმა მეუღლემ დაკარგა სამსახური, ბიზნესი, ნერვიულობის ნიადაგზე მწვავე ინფარქტით მოხვდა საავადმყოფოში. ფაქტობრივად, ექვსი თვე უმძიმეს მდგომარეობაში აღმოვჩნდი. არავისთვის მიგრძნობინებია, რა მჭირდა. ქირით, შემოსავლის გარეშე, უცხო გარემოში... ჩემს ასაკში ეს ძალიან რთულია, მაგრამ ჩემს თავს ვუთხარი, რომ წაქცევის უფლება არ მაქვს და ბოლომდე უნდა ვიბრძოლო. მადლობა ღმერთს, მეუღლე მდგომარეობიდან გამოვიდა. ის ღირსეული კაცია და მჯერა, ყველა დაბრკოლებას გადალახავს. უზარმაზარი ნდობა მაქვს მის მიმართ. ერთად ვაკეთებთ ყველაფერს. ერთი წუთით არ მცილდება გვერდიდან და უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობ მისგან. საერთოდ, ძალიან მძიმე ცხოვრება გავიარე. 16 წელი ქვრივი ვიყავი. გადატანილი მაქვს ორი უმძიმესი ოპერაცია ხერხემალზე. მყავს ერთი შვილი, რძალი და შვილიშვილი - ჩემი ნუციკო. რაღაც ძალიან გულწრფელი ვარ შენთან, ისეთ დეტალებზე ვისაუბრე, რაც არასოდეს მითქვამს.

- გზაგასაყარზე ბევრი ადამიანი გვხვდება. ზოგი ნათელ კვალს აღბეჭდავს, ზოგიც - პირიქით. ამ დროს სულიერი წონასწორობის შენარჩუნებისათვის რა არის არსებითი, ანუ როგორ უნდა გავძლიერდეთ პიროვნულად?

- როცა წარმატებული გქვია, მტერიც ბევრი გყავს. ბევრჯერ უსვრიათ დაუმსახურებლად ტალახი. გულში განვიცდი, ბევრჯერ მიტირია კიდეც, მაგრამ პასუხი არ გამიცია. მინდა, სიყვარული ვისწავლოთ. ჩემს არაკეთილმოსურნეებს შემიძლია ჩავეხუტო, სითბო და კეთილგანწყობა შევთავაზო, ბევრმა ისარგებლა ჩემი ადამიანური მიდგომით უარყოფითად მაგრამ სიყვარული, სიმართლე და ერთგულება მნიშვნელოვანია. უსიყვარულობა, ბოღმა, შური ისევ მათ დაანგრევს. ძალიან ცოტა ხანს ვცხოვრობთ და ნუ შევჭამთ ერთმანეთს. ესაა მთავარი ჩემთვის:

„სადაც სიწმინდე სულზე ზეიმობს,
სადაც უფალი ჩემი ღმერთია.
სადაც სიმართლე და ერთგულება,
საჭიროა და ერთადერთია“.

- ხელოვანს სხვისი ტკივილის, მწუხარების თუ სიხარულის განცდა სხვაზე აღმატებულად უნდა შეეძლოს, სხვას რომ შეეშველოს. ბევრისთვის ეს აქსიომაა, თქვენთვის?

- საერთოდ, ძალიან მიკვირს, ხელოვანი ხელოვანს რომ ლანძღავს. ეს მიუღებელია. ხელოვნება ჩემთვის სულის ნაწილია, რომელსაც ადამიანებს ვანდობ. ძნელია, სულში რომ გაფურთხებენ. პირიქით, სხვისი წარმატება უნდა გიხაროდეს. იცით, რა კარგია თავისუფალი სული? ძალიან ბევრი ადამიანის რეკომენდატორი ვყოფილვარ და ბევრი გამიხარებია. ეს მაბედნიერებს.

- თემა, პრობლემა, რომელიც ყველაზე მეტად გაღელვებთ.

- უსიყვარულობა, შური და გაუტანლობა.

- ავტობიოგრაფიის დაწერა რომ გთხოვოთ, როგორ დაიწყებდით?

- მე ვარ ქართველი ულამაზესი საქართველოდან.

- თქვენს თვალსაწიერზე ჩანს...

- ძალიან ბევრი გაჭირვებული ადამიანი, რომელთაც შველა სჭირდებათ და ბევრი ემიგრანტი. ეს ძალიან მაწუხებს.

- შესაძლებელი რომ იყოს, რომელ ისტორიულ გმირს გამოიხმობდით წარსულიდან და რატომ?

- დავით აღმაშენებელს, რომელიც თექვსმეტი წლისა ავიდა ტახტზე, ოცდათექვსმეტი წელი იმეფა და საქართველო გაამთლიანა „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“. ასეთი რეფორმატორი სჭირდება საქართველოს.

- მცნება, რომლის დარღვევა დაუშვებლად მიგაჩნიათ.

- ყველა, რა თქმა უნდა, მაგრამ ასე ვერ ვცხოვრობ. ყველაზე მთავარი მაინც მეცხრე მცნებაა - „არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა“ და ყოველთვის ვცდილობ მის დაცვას. რაღაც განსაკუთრებულად მაქვს გაცნობიერებული ამ მცნების შინაარსი.

- როცა რესპონდენტებს ესაუბრებით, ყველაზე ხშირად რა კითხვას უსვამთ? საკუთარ თავს რას ჰკითხავდით ახლა?

- ახლა ახალი ამპლუა მოვირგე. ჩემმა მეგობარმა, TV-12-ის გენერალურმა დირექტორმა ჯემალ მეგრელიძემ, ვინც უზარმაზარი როლი ითამაშა აჭარაში ჩემს დამკვიდრებაში, მიმიწვია საავტორო გადაცემებში და ჟურნალისტობას მასწავლის. რა გამოვა ჩემგან, ჯერ არ ვიცი. ისე... რესპონდენტს გააჩნია, კითხვაც შესაბამისად ჩნდება... ასე ვერ გამოვყოფ, ჩემს თავს კი ვკითხავდი - ვარ ღირსი საზოგადოებისგან ასეთი სიყვარულისა?

- როცა ბათუმის ქუჩებში დადიხართ...

- თავისუფლებაა!!!

- ახალი წელი მოდის... საახალწლო კალათაში ჩააწყვეთ სურვილები და გამოუგზავნეთ ჩვენს მკითხველებს.

- მინდა, მოგილოცოთ დამდეგი ახალი წელი. გამოგიგზავნოთ: ხვავი, ბარაქა, სიხარული, სიყვარული, სიმშვიდე, ბედნიერება, წინსვლა და საქართველოს გაბრწყინება.

„ახალი წელი

ნაქარალ ხეებს ახალი წლის ღამე
არხევდა,
ციდან წამოსულ ფანტელებად
ცეკვავდა ქარი,
ყველას გულებში სურვილების
გუდა დაბერდა,
სწორედ ამ ღამეს იგონებდა, რა
ჭქონდა ვალი.
ახალი წელი ძველ ტკივილებს
სახელს არქმევდა,
მიმოდიოდა, ივიწყებდა
მტკივნეულ წუთებს,
ახლის სურვილით და განცდებით
ოთახს არბევდა
და სურვილების ხურჯინიდან
ტოვებდა ბურთებს.
სურვილის ბურთი, ფერით ლურჯი
ერთი მეც მერგო და მომავალი
ჩავიფიქრე ფეხბედნიერი,
ახალო წელო, საქართველოს,
გთხოვ, წამლად ერგო,
ჩემი ქვეყანა, გთხოვ, ამყოფე სულ
ბედნიერი.
აღარ ატკინო დაფლეთილი მძიმე
სხეული,
აღარ ატირო საცოდავი ქართველი
დედა,
ახალო წელო, გაგვითენე დილა
ჩვეული
და მტერს დამართე სიყვარული,
გაჰყარე ბნედა.
ახალო წელო, მოგვიტანე სიკეთე
ქვეყნად,
რომ სამშობლოში აღარავის
შიოდეს ასე,
ახალო წელო, გელოდებით
ყველანი ერთხმად,
იმედებით და სიყვარულით
ბოლომდე სავსე“.

სამშობლო დიდი ტკივილი და მონატრებაა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

აჭარის მთიანეთი მოხევის ქალმა გიული ჩქარეულმა 5 წლის წინ გაიცნო, როცა საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალში „ზე-კართან“ მიიღო მონაწილეობა. უცხოეთის ცის ქვეშ მყოფ ქართველ პოეტ ქალს აქ მიღებული შთაბეჭდილებები ლექსებისა და მინიატურების სახით ქაღალდის ფურცლებზე გადააქვს.

ქართული სითბო,სულის სინაზე,
შემომაგება ტურფა აჭარამ,
წლობით ნატანჯი, მტრების ჯინაზე,
არ წაქცეულა, ფეხზე დამდგარა.
ნაოცნებარი ჩემი ბათუმი,
პირდაბანილი ღრუბლების ცვარში,
პირველად ვნახე ფიქრში გართული,
ცხელი მზე როგორ ჩავარდა ზღვაში.
გათანგული მზე ტალღებზე მიწვა,
ზღვის სიგრილეში იპოვა შვება,
შორს ჰორიზონტი ძოწისფერს იცვამს
და მთვარეს ვარსკვლავთ ციმციმით ხვდება.
პალმებში ფშვინავს სიჩუმე ღამის,
გემის ანძაზე ყვინთავს თოლია,
კენჭებს ასხლეტილ ტალღათა ჩქამი,
გულს ნატვრად დღემდე გამოჰყოლია.
მზე დილით შეხსნის ზეცას საკინძეს,
ზღვას გაუღიმებს ისევ მაცდურად,
კვლავ შეათრთოლებს ტალღას ნაპირზე
და საბანაოდ ცაში გასცურავს...
კვლავ გაუღიმებს დილის განთიადს,
დარდმორეული ჩემი აჭარა,
სადაც ქართული მთვარე ანთია
და ჩემი გული მძევლად დამრჩალა.

გიული ერთი, უბრალო მოხევის ქალია, რომელიც ცხოვრების უკუღმართობამ ემიგრანტად აქცია. 25 წელია ირლანდიაში ცხოვრობს შვილთან და შვილიშვილებთან ერთად. პირველად ის წავიდა. ოთხი წელი უცნობ, პატარა ქალაქში, სრულიად მარტომ გაატარა, ოთხი წლის მერე შვილიც წაიყვანა. მას შემდეგ ის ქვეყანა გიულის მეორე სამშობლოდ იქცა.

- წერა ადრეულ ასაკში დავიწყე, ვწერდი პატარ-პატარა ნოველებს, ჩანახატებს, რომელიც ხშირად იბეჭდებოდა იმდროინდელ ყაზბეგის რაიონულ გაზეთ „დარიალში“ და რესპუბლიკურ საბავშვო ჟურნალებში. გატაცება საქმედ ვაქციე. უკვე ვარ ლექსების სამი კრებულის ავტორი და ვმუშაობ მეოთხე წიგნზე. მეგობრებთან ერთად გამოვეცი ორენოვანი ლექსების კრებული. ირლანდიაში დაიბადა იდეა, გვეთარგმნა ირლანდიელი პოეტების შემოქმედება ქართულად, ქართველი პოეტების - ინგლისურად და გამოგვეცა ორენოვანი წიგნი. ამით გვინდოდა კულტურული მეგობრობის ხიდის გადება ორ ქვეყანას შორის. წიგნში შესულია 11 ირლანდიელი და 7 ქართველი პოეტის ნაწარმოებები, - ამბობს გიული.

მებრძოლი სულისა და გაუტეხელი ნებისყოფის ქალმა ირლანდიაში მცხოვრები ქალბატონი რუსუდან ნებიერიძე გაიცნო, რომელსაც საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს ირლანდიელ პროფესორ დესმონდ სვანთან.

მან მიაწოდა რამდენიმე ირლანდიელი პოეტის ლექსები, რომელთაგან ზოგიერთი ნობელის პრემიის ლაურეატია. კრებულში გარდაცვლილი პოეტებისა და ირლანდიის პრეზიდენტის რამდენიმე ლექსიც შეიტანეს. ერთ-ერთი - „ხიდი“ წიგნის სახელწოდებად შეარჩიეს. ბატონი დესმონდ სვანი და მისი მეუღლე დაეხმარნენ კორექტირებაშიც. გიული და რუსუდანი გულწრფელ მადლობას უხდიან ამ ძვირფას ოჯახს ასეთი დიდი დახმარებისთვის.

გიულისა და რუსუდანის დიდქართველობის დასტური ისიცაა, რომ წიგნი ითარგმნა და დაიბეჭდა მათი დაფინანსებით. დიდი მხარდაჭერა გაუწია საქართველოს საელჩომ ირლანდიაში, რომლის თანადგომას ყოველთვის გრძნობენ. საქართველოში მოაწყვეს კრებულის წარდგინება, მაგრამ ირლანდიაში, ჯერჯერობით, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა. იმედია, ახლო მომავალში ამასაც შეძლებენ საელჩოს დახმარებით. ასევე ითარგმნა გიულის ოთხმოცდაათი ლექსი ინგლისურად და სულ მალე დაიბეჭდება.

- მიყვარს ბუნებაში განმარტოება. იქ სულ სხვანაირი ვხდები, ვიცვლები, მეც ბუნების ნაწილი ვხდები. საათობით შემიძლია ვიჯდე და ვუსმინო მდინარის ხმაურს... უმეტესად, ასეთ დროს ვწერ ლექსებს. თითქოს ბუნება მკარნახობს, რა უნდა ვწერო, ასევე ღამით, როცა ირგვლივ სიჩუმეა. მედარდება ჩემი ქვეყნის დღევანდელობა. დაცლილი სოფლები მტკივა. მიხარია სამშობლოში დაბრუნება, მეგობრებთან ყოფნა, ვთბები, ვივსები მათთან ურთიერთობით. სამშობლოზე იმდენი იწერება, იმდენი ლექსი თუ სიმღერაა, რომ მე ახალს ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ჩემს ტკივილს, სიხარულსა თუ მონატრებას ჩემებურად მაინც გამოვხატავ ლექსებში და ამით თითქოს ვმშვიდდები. სამშობლო ჩემთვის ერთი დიდი ტკივილი და მონატრებაა, ცრემლიანი ფიქრი და უკიდეგანო სიყვარულია... ჩემი შვილები და შვილიშვილებიც ემიგრანტები არიან. შვილიშვილები აქ, უცხოეთში დაიბადნენ და იზრდებიან. მაქსიმალურად ვცდილობ, შევაყვარო მათი ფესვები. წერენ და კითხულობენ, ასევე, თავისუფლად საუბრობენ ქართულად. იციან, რომ აქ დროებით არიან და სამშობლოს უნდა დაუბრუნდნენ.

გიულის ვაჟი ჯერჯერობით, ოჯახით, დედასთანაა, ირლანდიაში, ქალიშვილი კი ბელგიაში ცხოვრობს ოჯახით. წელს ბებიაც გახდა - ბელგიაში დაიბადა პატარა გოგონა, რომელსაც დედა და ბებია ქართულად ესაუბრებიან, რომ მშობლიური ენა ბავშვობიდანვე შეისისხლხორცოს. უცხოეთში ისევ შვილიშვილები აძლებინებენ. ასე ჰგონია, მის გარეშე გაუჭირდებათ, ვერ ისაუბრებენ ქართულად, ვერ წაიკითხავენ ქართულ ზღაპრებსა თუ ლექსებს, ვერავინ მოუყვება საქართველოს ულამაზეს კუთხეებზე, ვერ გააცნობს სამშობლოს ისტორიას და ვერ გაუღვივებს შინ დაბრუნების სურვილს. საკუთარ თავს ხშირად ეკითხება: ხომ არ დავაშავე, რომ უცხოეთში წამოვედი და შვილებიც წამოვიყვანე?

- ამ კითხვაზე დღემდე პასუხს ვერ ვპოულობ. წამოსვლა უცებ არ გადამიწყვეტია. ყაზბეგში სახლი დაგვეწვა და ღია ცის ქვეშ დავრჩი ჩემი შვილებით. ვის არ მივმართე, მაშინდელ ხელისუფლებას, საპატრიარქოს (ახლოსაც არ მიმიშვეს უწმინდესთან). ისეთი დრო იყო, ყველას უჭირდა და არსაიდან დახმარების ხელი არ გამოუწვდიათ. დახმარებაში ფულს არ ვგულისხმობ, სამუშაო მინდოდა, რომ შვილები მერჩინა. საკუთარ სამშობლოში ვერ მივიღე დახმარება და ამიტომ შევუდექი ემიგრანტის ტკივილიან, დაუსრულებელ გზას 25 წლის წინ და როდის ან სად დამთავრდება, კიდევ არ ვიცი... როცა ეს ტკივილი გაუსაძლისი ხდება, ფურცელი და კალამი მშველის, ასე გადის დრო. 2010 წელს, თბილისში, საკუთარ ბინაში გავხსენი ლიტერატურული სალონი, რომელსაც სიმბოლურად „ნოსტალგია“ დავარქვი. როდესაც საქართველოში ვარ, სალონში ხალხმრავლობაა. იმართება შეხვედრები პოეტებთან, მწერლებთან. ასეთი საღამოები სიცოცხლის ხალისს მმატებს და მეორედ ჩამოსვლამდე მყოფნის იქ მიღებული სითბო და სიყვარული. გვაქვს მიწვევებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. რამდენიმე საღამო ყაზბეგში, ბორჯომში გავმართეთ. აჭარაშიც ვიყავით მოწვეულები ხუთი პოეტი. არაჩვეულებრივად გვიმასპინძლეს, რაც ლამაზ მოგონებად გამომყვა უცხოეთში. ასეთი საღამოები სიმხნევესა და ცხოვრების ხალისს მიათმაგებს. სწორედ აჭარაში ყოფნის დროს დავწერე ლექსები ბათუმზე. ვარ საპატრიარქოს ჩოხოსანი და ამავე საზოგადოებასთან არსებული ჯვრისწერის პროექტის ხელმძღვანელი. უამრავ წყვილს დავწერეთ ჯვარი. ლიტერატურული საღამოები ირლანდიაშიც ხშირად იმართება, რომელსაც საქართველოს საელჩო უდგას სათავეში. საოცრად კარგი ადამიანები მუშაობენ აქ. ელჩი - ბატონი გიორგი ზურაბაშვილი არაჩვეულებრივი პიროვნებაა, თბილი, ყურადღებიანი, მზრუნველი. ვინატრებდი, ყველა ქვეყანაში გვყავდეს ასეთი ელჩები. ასევე არ შემიძლია არ აღვნიშნო მისი თანაშემწის ნათია კალანდიას ღვაწლი. ორჯერ გამიმართეს შეხვედრა და ირლანდიაში მცხოვრები ქართველებიც გამაცნეს. ჩემი ლექსების ინგლისურად თარგმნაც ბატონი გიორგის იდეა იყო, სურს, ირლანდიელმა მკითხველმაც გამიცნოს. აქვე მინდა ჩემი უზომოდ დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოვხატო და მადლობა გადავუხადო ირლანდიის მთავრობას, ქალაქ ტრალის მოსახლეობას, მის ადგილობრივ ხელმძღვანელობას. გულის კარი გამიღეს, სითბოთი და სიყვარულით მიმიღეს, შვილიშვილებს, რომლებიც აქ დაიბადნენ, ყურადღებას არ აკლებენ, - გვეუბნება გიული, რომელიც ქალაქის ცენტრში, ოროთახიან ბინაში ცხოვრებს. საახალწლოდ მის ვაჟსა და შვილიშვილებს სამოთახიანი ბინა გადასცეს საჩუქრად ახალაშენებულ სახლში.

- როგორ შეიძლება არ მიყვარდეს ეს ხალხი? უმადური უნდა ვიყო, რომ ეს ყველაფერი ვერ დავინახო და ვერ დავაფასო. აქაური კლიმატური პირობების და ფიზიკური დატვირთვის გამო, ორივე ქვემო კიდურის პროთეზირება დამჭირდა. ოპერაციები უფასოდ გამიკეთეს. ვინატრებდი, ჩემი ქვეყანაც ასე იყოს წელში გამართული და თავის მოქალაქეებზე ზრუნავდეს. არცთუ დიდი ხნის წინ ირლანდიასაც უზომოდ უჭირდა, გაუძლო, შეძლო წინსვლა. მჯერა, ჩემი სამშობლოც უეჭველად დადგება ფეხზე. შვილიშვილები პერიოდულად ჩამომყავს საქართველოში. ვაცნობ სხვადასხვა კუთხეს, ვუყვები მათ ისტორიებს. ბათუმშიც მყავდა.

ამბობენ, ულამაზესია ჩემი საქართველო, მაგრამ ყაზბეგი და ბათუმი ყველას სჯობიაო. გოგონა წლების წინ მოვნათლეთ თბილისში. წელს ბიჭიც გაქრისტიანდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ვაჟი საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში ფიქრობს სწავლის გაგრძელებას, რაც უზომოდ მიხარია. ეს უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია სამშობლოში დასაბრუნებლად.

წინასაახალწლოდ კიდევ ერთი ლამაზი და საინტერესო საღამო აჩუქა საქართველოს საელჩომ ირლანდიაში მცხოვრებ ემიგრანტებს. მათ კიდევ ერთხელ მიეცათ საშუალება, გიულის ლექსებით, ქართული სიმღერითა და ცეკვებით დამტკბარიყვნენ. სამშობლოს მოწყვეტილ ადამიანებს გულით დააქვთ თავიანთი წილი საქართველო და დიდი ინტერესით ელიან ასეთ, სიყვარულით გამთბარ შეხვედრებს.

- მადლობა ყველა ქართველს, რომელმაც, მიუხედავად დატვირთული სამუშაო დღისა, საშინელი ყინვისა, მაინც მოიცალა ჩვენთვის და მობრძანდა საღამოზე. მადლობა მამა გიორგი (ლაშა) ტრაპაიძეს მობრძანებისა და ჩვენი დალოცვისთვის. მინდა ჩემი გულწრფელი მადლობა და აღფრთოვანება გამოვხატო ქართული ცეკვების სტუდიის მასწავლებლის ლაშა საბაშვილისა და მისი ულამაზესი მოცეკვავე ახალგაზრდების მისამართით. მადლობა ოპერატორ ლევან კალანდიას, რომელმაც მთელი საღამო გადაიღო. განსაკუთრებული მადლობა საქართველოს ელჩს, ბატონ გიორგი ზურაბაშვილს, მის თანაშემწეს ნათია კალანდიას, კონსულს ნინო შამუგიას მხარდაჭერისათვის, ასევე ქართული დიასპორის ხელმძღვანელს ლელა შურუპოვას. დაბოლოს, ჩემი გულწრფელი მადლობა ქალბატონებს რუსუდან ნებიერიძესა და ლია თიკანაშვილს გულუხვი და გულთბილი მასპინძლობისთვის. უზომოდ მიხარია და ამაყი ვარ, რომ აქაც, შორეულ ირლანდიაშიც არიან ნამდვილი ქართველები, ქართული სულითა და სტუმართმოყვარეობით. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი საღამოები, რისი იმედიც ნამდვილად მაქვს, - გვითხრა გიული ჩქარეულმა.

> ,, როგორ შეიძლება არ მიყვარდეს ეს ხალხი? უმადური უნდა ვიყო, რომ ეს ყველაფერი ვერ დავინახო და ვერ დავაფასო. აქაური კლიმატური პირობების და ფიზიკური დატვირთვის გამო, ორივე ქვემო კიდურის პროთეზირება დამჭირდა. ოპერაციები უფასოდ გამიკეთეს. ვინატრებდი, ჩემი ქვეყანაც ასე იყოს წელში გამართული და თავის მოქალაქეებზე ზრუნავდეს

ცვლილებები - „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“

საქართველოს პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე მთავრობის ინიციატივით დაინიცირდა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებები. კერძოდ, ადმინისტრაციული სანქციები წესდება სატრანსპორტო საშუალების გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებების შემადგენლობის დადგენილი ნორმის დარღვევაზე.

კანონპროექტის მიხედვით, იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებების შემადგენლობა დადგენილ ნორმას არ შეესაბამება, გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მძღოლის დაჯარიმებას 100 ლარით. თუ იგივე ქმედება ჩადენილი იქნება პირველი დაჯარიმებიდან 30 დღის შემდეგ, ეს გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მძღოლის დაჯარიმებას 300 ლარით. პირველი სახდელის დადებიდან 60 დღის შემდეგ ეს ქმედება გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მძღოლის დაჯარიმებას უკვე 600 ლარით.

საკანონმდებლო ინიციატივის გათვალისწინებით, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელი იურიდიული პირის ან ინდივიდუალური მეწარმის მიერ იმ სატრანსპორტო საშუალების საექსპლუატაციოდ დაშვება, რომლის გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა შემადგენლობა არ შეესაბამება დადგენილ ნორმას, გამოიწვევს ექსპლუატაციის განმახორციელებელი იურიდიული პირის ან ინდივიდუალური მეწარმის დაჯარიმებას 500 ლარით, განმეორების შემთხვევაში - 1500 ლარით.

კანონპროექტში აღნიშნულია, რომ თუ სატრანსპორტო საშუალების მძღოლი არ ეთანხმება გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა შემადგენლობის გაზომვის შედეგებს და ალტერნატიული გაზომვის ჩატარებას ითხოვს, უფლებამომსილი იქნება, სატრანსპორტო საშუალება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომლის თანდასწრებით, დაუყოვნებლივ გადაიყვანოს ინსპექტირების ცენტრში, სადაც სატრანსპორტო საშუალებას კანონმდებლობით დადგენილი წესით პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება ჩაუტარდება. აღნიშნულ შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალების მძღოლს ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრება პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შედეგის (გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა რაოდენობის) მიხედვით.

კანონპროექტით კონკრეტდება, რომ პირი, რომელსაც ადმინისტრაციული სახდელი შეეფარდება, ვალდებული იქნება, სახდელის შეფარდებიდან 30 დღეში უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალების გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა შემადგენლობის დადგენილ ნორმასთან შესაბამისობაში მოყვანა, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, ის კვლავ დაჯარიმდება.

კანონპროექტით განისაზღვრება, რომ სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა კონტროლს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი განახორციელებს. „პირველი ეტაპისათვის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში, დაგეგმილია 10 ეკიპაჟის შექმნა, რომლებიც აღჭურვილი იქნება სათანადო გამზომი აპარატურით და შესაბამისი მოწყობილობებით გზებზე გამონაბოლქვის კონტროლის განსახორციელებლად. პირველ ეტაპზე ქვეყნის მასშტაბით შერჩეული იქნება რამდენიმე დასახლება - თბილისი, რუსთავი, ბათუმი და ა. შ. სადაც სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლის მეტი საჭიროება არსებობს და ათი ეკიპაჟი განაწილდება ამ დასახლებებში“, - ნათქვამია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

ამირან ბურიელიძე

ლამაზი და ჯანმრთელი კანი - ზამთარშიც

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

ზამთარში ჰაერის დაბალი ტემპერატურა და შემცირებული ტენიანობა კანს აშრობს და აღიზიანებს. შენობებში ირთვება გათბობის სისტემები, რაც სხეულიდან უფრო მეტი ტენის აორთქლებას უწყობს ხელს. ამ დროს ზოგს მქავანა გამონაყარი უჩნდება, რომელსაც ზამთრის გამონაყარს უწოდებენ.

კანი, როგორს ვიცით, ჩვენს შინაგან გარემოს იცავს მიკროორგანიზმებისგან, სიცივისგან, ერთგვარი გამყოფი ბარიერია შიგა და გარე სამყაროს შორის. თუმცა ჯანმრთელი კანიც კი უარყოფითად რეაგირებს ზამთრის სიცივესა და გამოშრობაზე.

ზამთრის გამონაყარისთვის დამახასიათებელია კანის განსაზღვრული უბნების სიწითლე, შეშუპება, აქერცვლა, რასაც ზოგჯერ თან სდევს ქავილი, მგრძნობელობის მომატება, კანის ზოგიერთ უბანზე წყლულებისა და ბურცობების გაჩენაც კი. გამონაყარი ყველაზე ხშირია მტევნებზე, მკლავებსა და ფეხებზე.

ზამთრის გამონაყარი უპირატესად უჩნდება მას, ვინც მეტ დროს ატარებს გარეთ, კანის სათანადო დაცვის გარეშე. რისკ-ფაქტორებია ეგზემა, ფსორიაზი, როზაცეა, კანის ალერგია, სტრესი, დეჰიდრატაცია, მომატებული მგრძნობელობა კოსმეტიკური ან სხეულის მოვლის საშუალებების კომპონენტების მიმართ.

კანის გარეთა შრე შეიცავს დამცავ ფენას, რომელიც ბუნებრივი ცხიმისა და კანის მკვდარი უჯრედებისგან შედგება და კანს ტენიანობას, სირბილესა და სიგლუვეს უნარჩუნებს. ძალიან დაბალი ტემპერატურა, მცირე ტენიანობა და ძლიერი ქარი კანს ამ ფენას აცლის, შენობაში ჩართული გამათბობელი და ცხელი შხაპი კი მას აღდგენის საშუალებას არ აძლევს.

ზამთრის გამონაყარი, შესაძლოა, მზის დამწვრობითაც იყოს განპირობებული - ულტრაიისფერი სხივები ზამთარშიც არ კარგავს ძალას. თოვლი ამ სხივების 80%-ს ირეკლავს, ამიტომ თოვლში მათი ზემოქმედება ორჯერ უფრო ძლიერია.

ზღვის დონიდან რაც უფრო მაღლა ავდივართ, მით უფრო იზრდება ულტრაიისფერი სხივების ინტენსივობა, რაც უნდა გაითვალისწინონ მეთხილამურეებმა, მოციგურავეებმა და სამთო ტურიზმის მოყვარულებმა.

ზამთარში კანის გაღიზიანებას ხელს უწყობს ქიმიური ნაერთებით გაჯერებული სარეცხი საშუალებების გამოყენება, ასევე, ბაქტერიული და ვირუსული ინფექციები, სტრესი, სისუსტე...

ზამთრის სიცივე კანის ზოგიერთ დაავადებასაც ამწვავებს:

დერმატიტი - კანის ანთებითი დაავადება, რომელიც ხშირად მშრალი, მქავანა ლაქებით ან შეშუპებით და სიწითლით ვლინდება. მის გავითარებას ხელს უწყობს ცუდი სისხლის მიმოქცევა, მკვეთრ ქიმიურ ნივთიერებებთან კონტაქტი, ინფექცია, კონტაქტი ალერგენებთან...

როზაცეა - კანის ბაქტერიული ინფექცია, რომელიც წვრილ, მოწითალო ამობურცულ გამონაყარს იწვევს;

სიცივის ურტიკარია - ცივ ჰაერთან ან წყალთან კონტაქტი შეშუპებულ, მქავანა, ჭინჭრის ნასუსხის მსგავს გამონაყარს აჩენს. კონტაქტის შეწყვეტიდან 1-2 საათში გამონაყარი თავისით ალაგდება;

ფსორიაზი - დამახასიათებელია კანზე წითელი, მქავანა ქერცლოვანი ლაქების გაჩენა. მისი გამწვავება შეუძლია სტრესს, თამბაქოს, ინფექციას, ცივ და მშრალ ამინდს.

ზამთრის გამონაყარის მკურნალობის მიზანი კანის ტენიანობის აღდგენა და გაღიზიანების ჩაცხრობაა. ამისათვის გამოიყენება დამატენიანებლები, ზეთები და კრემები. შედეგიანია ცხოვრების სტილის შეცვლა. სამკურნალო პროცედურების უმეტესობა სახლის პირობებშიც ადვილი ჩასატარებელია, ოღონდ თვითმკურნალობას არ უნდა მიმართოთ და მხოლოდ დერმატოლოგის რჩევებით იმოქმედეთ.

თავიდან რომ ავიცილოთ ზამთრის გამონაყარი, საჭიროა:

შხაპის შემდეგ დამატენიანებელი წაისვათ. უპირატესობა მიანიჭეთ შარდოვანას და რძემჟავას შემცველ ნაწარმს. ტანის მოვლის არომატიზებული საშუალებები შეიცავს უხეშ ქიმიურ ნივთიერებებს, რომლებიც ზოგჯერ თავად აღიზიანებს კანს, ამიტომ უმჯობესია, ზამთარში უარომატო საშუალებებით ისარგებლოთ. ვაზელინი კანზე ქმნის ერთგვარ დამცავ ბარიერს, რომელიც ტენს აკავებს.

მშრალი, გაუხეშებული კანის დასამშვიდებლად სასურველია ნატურალური პროდუქტების გამოყენება. მაგალითად, კარგია ალოე-ვერას გელი, ქოქოსის ზეთი, ბუნებრივი ზეთები და ა. შ. მათში შემავალი ნივთიერებები გამორჩევა ანტიმიკრობული, ანტიანთებითი, ქავილის საწინააღმდეგო თვისებებით, ატენიანებს და აღადგენს კანს. ქოქოსის ზეთში შემავალი ლანოლინი და ლაურის მჟავა აუმჯობესებს კანის ბარიერულ ფუნქციას და ხელს უწყობს დაზიანებული უბნების აღდგენას. საფლორის ზეთი მდიდარია C, D და E ვიტამინებით და საუკეთესოდ ატენიანებს კანს.

ერიდეთ სინთეზური საღებავების, არომატიზატორების შემცველ ნაწარმს. გამოიყენეთ ჰაერის დამატენიანებელი, თუკი შენობაში ცენტრალური გათბობის სისტემა აქტიურად ფუნქციონირებს.

თუ კანზე გამონაყარი გექავებათ, მაქსიმალურად შეიკავეთ თავი, რომ კანის მთლიანობა არ დაირღვეს და სისხლდენა არ დაიწყოს. კორტიზონის შემცველი კრემები აცხრობს სიწითლეს, ქავილს, ანთებას.

პრევენციის მიზნით, ატარეთ ბუნებრივი ქსოვილის სამოსი. ქუჩაში გასვლის წინ დაიხურეთ ქუდი, მოიხვიეთ შალი, ჩაიცვით ხელთათმანები... დაიბანეთ არა ცხელი, არამედ თბილი წყლით. უპირატესობა მიანიჭეთ ნატურალურ, უარომატო საპნებს, რომლებიც გლიცერინის, თხის რძის, შვრიის ან ზეითუნის ზეთისგან არის დამზადებული. ამუშავეთ სახლში ჰაერის დამატენიანებელი, განსაკუთრებით - ღამით, ძილის დროს. ერიდეთ გამათბობლის სიახლოვეს ყოფნას, რადგან მაღალ ტემპერატურაზე კანი მეტ ტენს კარგავს. ხშირად გაანიავეთ სივრცე, სადაც ხანგრძლივად იმყოფებით.

უკრაინა

ბახმუტის მიმართულება მთავარია. ჩვენ ვინარჩუნებთ ქალაქს, თუმცა ოკუპანტები ყველაფერს აკეთებენ, რომ იქ ერთი დაუზიანებელი კედელიც არ დარჩეს, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, თუმცა დასძინა: „ზაპოროჟიეს, ხერსონის ოლქებში, ზოგადად, სამხრეთით თანდათან ვამცირებთ ოკუპანტების პოტენციალს“. მისივე თქმით, აგრესიის დასრულებისთვის საჭიროა საჰაერო თავდაცვა. „საჰაერო თავდაცვა მუდმივი პრიორიტეტია და ამას კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ. ძვირფასო პარტნიორებო! ჩვენი ცის სრულად დაცვაში დახმარებით, უფრო თანამედროვე საჰაერო თავდაცვის სისტემების საკმარისი რაოდენობით მიწოდებით შეგიძლიათ ტერორისტულ სახელმწიფოს ჩამოართვათ ტერორის მთავარი ინსტრუმენტი. ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ნაბიჯი, რომელიც აგრესიის დასასრულს დააჩქარებს. რუსეთს მოუწევს აგრესიის შეწყვეტის გზით სვლა, როცა სარაკეტო დარტყმის გზას ველარ გაჰყვება“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკი აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივან ჰენრი კისინჯერის განცხადებას ეხმაურება და აცხადებს, რომ „ცუდი მშვიდობა“ უკრაინის ტერიტორიების ხარჯზე პუტინის გამარჯვება იქნება. „ბატონმა კისინჯერმა ვერაფერი გაიგო ვერც ამ ომის ბუნების და ვერც მსოფლიო წესრიგზე მისი გავლენის შესახებ. რეცეპტი, რომელსაც ყოფილი სახელმწიფო მდივანი მოგვიწოდებს, მაგრამ ხმამაღლა თქმის ეშინია, მარტივია: დააშოშმინე აგრესორი უკრაინის ნაწილის შეწირვით აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ თავდაუსხმელობის გარანტიებისთვის“, - აცხადებს მიხაილო პოდოლიაკი. მისი თქმით, მარტივი გადაწყვეტილებების ყველა მომხრეს უნდა ახსოვდეს, რომ „ეშმაკთან ნებისმიერი შეთანხმება - ცუდი მშვიდობა უკრაინის ტერიტორიების ხარჯზე - იქნება პუტინის გამარჯვება და წარმატების რეცეპტი ავტოკრატებისთვის მთელ მსოფლიოში“. შეგახსენებთ, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა განაცხადა, რომ უკრაინაში მიმდინარე ომზე სამშვიდობო მოლაპარაკება მალე უნდა გაიმართოს, რათა დამანგრეველი მესამე მსოფლიო ომის რისკი შემცირდეს.

* * *

ჩვენ უკვე ვამზადებთ სპეციალურ სამიტს ამ ზამთარში, სამიტს მშვიდობისთვის, ჩვენი ქვეყნისა და ნებისმიერი სხვა ხალხისთვის, ვინც შეიძლება იმავე აგრესიას და ტეროროს დაექვემდებაროს, რომელიც რუსეთმა ჩვენს მიწაზე შემოიტანა, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა. „უკრაინული მშვიდობის ფორმულა არის ათი ნათელი პუნქტი, რომლებსაც შეუძლია, შექმნას გლობალურად მნიშვნელოვანი უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა, რაც მთელ ჩვენს უკრაინულ მიწას, მთელ ჩვენს ხალხს თავისუფლებას დაუბრუნებს და რაც იქნება სხვა ხალხების თავისუფლებისა და უსაფრთხოების გარანტი“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მან პარტნიორებს მოუწოდა, გამოიჩინონ ლიდერობა მშვიდობის უზრუნველსაყოფად. „ჩვენ ერთად ვიბრძვით უკრაინისთვის, ღირებულებებისთვის, რომლებიც აერთიანებს ევროპასა და დემოკრატიულ სამყაროს, სიცოცხლის გლობალური ღირებულებისთვის, ყველაფრისთვის, რის განადგურებასაც ცდილობს რუსეთი“, - აღნიშნა მან.

* * *

კიევში რუსული ძალების მიერ დრონებით განხორციელებული თავდასხმის გამო, ელექტროენერგიის გადაუდებელი გათიშვა მოხდა, - ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. მათივე ცნობით, ეს ნიშნავს, რომ ენერგოსისტემაში სიტუაციის დასტაბილურებამდე გათიშვის ნორმალური გრაფიკი არ იმოქმედებს. უკრაინული მედიის ცნობით, კიევის საჰაერო სივრცეში მოწინააღმდეგის 20-ზე მეტი უპილოტო საფრენი აპარატი დაფიქსირდა. საჰაერო თავდაცვის ძალებმა დაახლოებით 15 მათგანი გაანადგურეს.

* * *

ის, რაც უკრაინაში ხდება, საშინელებაა, უზარმაზარი სისასტიკეა, ძალიან სერიოზულია, - ამის შესახებ რომის პაპმა ფრანცისკემ განაცხადა. „ეს მსოფლიო ომია. მოდით, ნუ დაგვავიწყდება ეს. ომში უკვე რამდენიმე ხელია ჩართული. ის გლობალურია. ვფიქრობ, ომი იმართება მაშინ, როცა იმპერია იწყებს დასუსტებას და როცა არის იარაღი გამოსაყენებელი, გასაყიდად და შესამოწმებელი. მეჩვენება, რომ აქ ბევრი ინტერესია“, - აღნიშნა პაპმა. მისივე თქმით, ვერ ხედავს, რომ ომი მალე დასრულდება. „რაც შემიძლია, ვაკეთებ. ისინი არ უსმენენ. რაც ხდება უკრაინაში, საშინელებაა. უზარმაზარი სისასტიკეა, ძალიან სერიოზულია და ეს არის ის, რასაც მე გამუდმებით ვგმობ“, - აღნიშნა პაპმა და დასძინა, რომ მზადაა, ყველა მიიღოს და მოუსმინოს. „ახლა ვოლოდიმირ ზელენსკიმ მესამედ გამომიგზავნა თავისი რელიგიური მრჩეველი. კონტაქტი მაქვს, ვიღებ ხალხს, ვეხმარები“, - აღნიშნა პაპმა.

* * *

უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანი ოლექსი დანილოვი მიიჩნევს, რომ რუსებს დარჩენილი აქვთ რაკეტების მარაგი 3-4 თავდასხმისთვის, შემდეგ ამოეწურებათ, რაც სამხედროებისთვის მიუღებელია. „თუ გავითვალისწინებთ იმ დიდ თავდასხმებს, რაც უკვე განვახორციელეთ, მაშინ მათ დარჩათ მაქსიმუმ ორი-სამი, შესაძლოა ოთხი შეტევა, მაგრამ შემდეგ ისინი მთლიანად რაკეტების გარეშე დარჩებიან, რაც მიუღებელია, რადგან შეიძლება ჰქონდეთ სრულიად განსხვავებული გამოწვევები და მათ რეზერვი მაინც უნდა დაიტოვონ“, - აღნიშნა დანილოვმა. მისი თქმით, ლიმიტი, რომელიც რეგულაციების მიხედვით უნდა დაეცვათ, უკვე საკმაოდ დიდი ხნის წინ გადალახეს. ამასთან, დანილოვის ინფორმაციით, რუსებს მეტ-ნაკლებად საკმარისი S-300 რაკეტები აქვთ არსენალში. ცნობისთვის: 16 დეკემბერს რუსეთმა უკრაინის ტერიტორიაზე მორიგი, მეცხრე ფართომასშტაბიანი სარაკეტო შეტევა განახორციელა. რუსულმა ძალებმა უკრაინის ტერიტორიაზე 76 რაკეტა გაუშვეს, აქედან 72 ფრთოსანი რაკეტა იყო. უკრაინის საჰაერო თავდაცვის ძალებმა მათგან 60 ჩამოაგდეს.

* * *

ესტონეთის პრეზიდენტ ალარ კარისის განცხადებით, უკრაინაში მშვიდობა შესაძლებელია, თუ აგრესია დამარცხდება და ომის დამნაშავეები პასუხს აგებენ. როგორც მან აღნიშნა, ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ უკრაინას სამხედრო დახმარება გაეწიოს, რათა მან ეს ომი მოიგოს. „მშვიდობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც აგრესია მთლიანად დამარცხდება და ომის დამნაშავეები სასამართლოს წინაშე წარსდგებიან“, - აღნიშნა ესტონეთის პრეზიდენტმა. ალარ კარისმა ეს განცხადება 10 ქვეყნის ლიდერების შეხვედრაზე გამგზავრებამდე გააკეთა. რიგაში დაგეგმილი შეხვედრის მონაწილეები ყურადღებას გაამახვილებენ უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიაზე, რეგიონულ უსაფრთხოებასა და ნატოში კოლექტიური თავდაცვის გაძლიერებაზე. გავრცელებული ინფორმაციით, შეხვედრის მონაწილეებს ონლაინრეჟიმში სიტყვით მიმართავს უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

რას ვყიდით და ვყიდულობთ... არგენტინაში?

ბევრისთვის ეს კითხვა აქტუალური, ალბათ, ფეხბურთში ამ ქვეყნის გაჩემპიონებამ გახადა. საქსტატის მონაცემებით, ამა წლის 11 თვეში ქვეყნებს შორის ვაჭრობამ 12,768 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (შარშანდელ ანალოგიურ პერიოდში 8,569 მლნ იყო). ამასთან, 2022 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოდან არგენტინაში 871,3 ათასი აშშ დოლარის პროდუქტი გავიდა, თავის მხრივ საქართველომ 11,897 მლნ აშშ დოლარის პროდუქტი შეიძინა.

„ბიზნესპრესნიუსი“ გვთავაზობს ტოპ-5 იმპორტირებული პროდუქტის ჩამონათვალს:

კოპტონი და სხვა მყარი ნარჩენები, მიღებული სოიოს ზეთის ექსტრაჰირებისას - 5,188 მლნ აშშ დოლარი; **სამკურნალო საშუალებები დაფასოებული** - 4,497 მლნ აშშ დოლარი; **ნაღების კარაქი და რძის სხვა ცხიმები**; **რძის პასტები** - 858 ათასი აშშ დოლარი; **თევზი გაყინული** - 458,1 ათასი აშშ დოლარი; **კიბოსნაირნი** - 219,6 ათასი აშშ დოლარი.

რაც შეეხება ექსპორტირებულ პროდუქტებს, საქართველოდან მხოლოდ **თხილი** და სხვა **კაკალი** (639,3 ათასი აშშ დოლარი), ასევე მედიცინაში ან ვეტერინარიაში გამოსაყენებელი 232 ათასი აშშ დოლარის **ხელსაწყოები და მოწყობილობები** გავიდა.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აინაწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 19/12/22, 22 ⁰⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

არგენტინა მსოფლიო ჩემპიონია

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

18 დეკემბერს ყატარში ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი გაიმართა არგენტინისა და საფრანგეთის ნაკრებებს შორის, რომელსაც ფეხბურთის გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ

ფინალი სწორედ ისეთი გამოდგა, როგორსაც ნატრობს გულშემატკივარი - უხვგოლიანი და დაძაბული. გამარჯვებული ვერც დამატებითმა დრომ გამოავლინა და მხოლოდ პენალტების სერიაში გაიკვა 2022 წლის ყატარის მსოფლიო ჩემპიონატის უძლიერესი გუნდი...

პირველი გოლი ლიონელ მესიმ გაიტანა 23-ე წუთზე პენალტით, რასაც ისევ არგენტინელი დი მარიას 38-ე წუთზე გატანილი გოლი მოჰყვა. მე-80 წუთზე ისევ პენალტი დაინიშნა, ამჯერად არგენტინელთა კარში, რაც კილიან მბაპემ უნაკლოდ შეასრულა. ორი წუთიც არ იყო გასული, რომ კვლავ მბაპემ მიუთვალა თავის გუნდს კიდევ ერთი გოლი. გუნდები შესვენებაზე ანგარიშით 2:2 წავიდნენ. შესვენების შემდეგ, 109-ე წუთზე, ისევ მესიმ დააწინაურა თავისი გუნდი - 3:2, მაგრამ ცოტა ხანში ისევ დაინიშნა პენალტი არგენტინელების კარში, რომელიც მბაპემ კვლავ კარგად გამოიყენა, ანგარიში ისევ გათანაბრდა და.... პენალტების სერიაში არგენტინამ იმარჯვა. ეს ამ ქვეყნის მესამე მსოფლიო ჩემპიონობაა. არგენტინამ პირველად მსოფლიო ჩემპიონის ტიტული 1978 წელს მოიპოვა, მეორედ - 1986 წელს.

„ლუსაილ აიკონიკის“ პირთამდე ავსებულ ფეხბურთის სტადიონზე (როგორც საინფორმაციო საშუალებები წერენ, ფინალზე 88 966 გულშემატკივარი შეიკრიბა), რომელთა შორის აშკარად მეტი ჩანდა ცისფერ-თეთრ ფერებში გამოწყობილი არგენტინის მომხრე, მთელი თამაშის განმავლობაში არ შეჩერებულა გამამხნევებელი შეძახილები და როცა პენალტებით გაიკვა ჩემპიონის ვინაობა, აგუგუნდა სტადიონი. არგენტინელი გულშემატკივრების 36 წლის განმავლობაში დაგროვილმა ემოციამ ამოხეთქა. სწორედ ამდენი წელი ელოდა არგენტინა ამ ტიტულის დაბრუნებას. ორგანიზატორებმა პირველად მსაჯებს გადაუხადეს მადლობა და ეს მედლებითაც გამოხატეს, მერე საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოვლინდა - იგი არგენტინელი ენცო ფერნანდესია. „ოქროს ბუცი“ გადაეცა კილიან მბაპეს (საფრანგეთი), აღსანიშნავია, რომ მან ამ მატჩში სამი გოლი გაიტანა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონობა მაინც ვერ იზეიმა, საუკეთესო მეკარედ არგენტინელი ემილიანო მარტინესი დასახელდა, „ოქროს ბურთის“ მფლობელი კი ლიონელ მესი გახდა, მან ეს ტიტული 2014 წელს მოიპოვა (მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო 1982 წელს დაარსდა).

ვულოცავთ არგენტინელებსა და გულშემატკივრებს, მათ შორის საქართველოშიც, ამ დიდ წარმატებას!

ლაშა ტალახაძე - მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ქართველმა ძალოსანმა, 29 წლის მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლეგენდარულმა ძალოსანმა ლაშა ტალახაძემ კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე (+109 კგ) ოქროს მედალი მოიპოვა და მსოფლიო ჩემპიონი ზედიზედ მეექვსედ გახდა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ძალოსანი ტრავმით ასპარეზობდა, რის გამოც დიდი უპირატესობა კონკურენტებთან, როგორც შეჩვეულები ვიყავით, არ ჰქონია, მაგრამ მან მაინც შეძლო ყველა დისციპლინაში (ატაცში - 208/215 და აკვრაში - 245/251 კილოგრამი) კარგი შედეგის დადება და ორჭიდის ჯამში მოგროვილი 466 კილოგრამით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. აღსანიშნავია, რომ ლაშა ტალახაძემ პარიზის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიისათვისაც მნიშვნელოვანი ქულები მოიპოვა.

109 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში წარმატებით იასპარეზა ჩვენმა მეორე ძალოსანმა გიორგი ჩხეიძემ - მისი მონაგარი ორი ვერცხლის მედალია.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა ვერცხლის მედალი მოიპოვა.

„გენიოსის ღირსეული დამშვიდობება“

2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე არგენტინის გამარჯვებას ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი რონალდო სოციალურ ქსელში გამოეხმაურა და „ალბისელესტეს“ კაპიტან ლიონელ მესის ეს დიდი წარმატება მიულოცა:

„ამ ბიჭის ფეხბურთი ნებისმიერ მეტოქეს კუთხეში აყენებს. ბევრი ბრაზილიელი, ისევე როგორც ხალხი მთელი მსოფლიოდან, ფინალში სწორედ ლეოს გულშემატკივრობდა. გენიოსის ღირსეული დამშვიდობება, რომელიც არა მხოლოდ საუკეთესო იყო მსოფლიო ჩემპიონატზე, არამედ მთელი ეპოქის კაპიტანია! გილოცავ, მესი!“.

ამირან გურიელიძე

ქალი - ფათერაკიანი თავგადასავლებითა და გამარჯვებებით

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ქალთა გაძლიერებისა და მათი სტიმულის ასამაღლებლად, ვაგრძელებთ წარმატებული და ძლიერი ქალების თქვენთვის გაცნობას. სწავლა-განვითარებისათვის ადამიანის თავგანწირული შრომა უკვალოდ რომ არ იკარგება, ამის არაერთი მაგალითი არსებობს, მათ შორის ჩვენ რესპონდენტ ***მელანო ზოიძის,*** *რომელმაც ძალიან რთული და თავგადასავლებით სავსე გზა გაიარა მიზნის მისაღწევად, დღეს კი მისივე სახელობის ესთეტიკის ცენტრის მფლობელია. იხსენებს, როგორ დადიოდა ფეხით უნივერსიტეტიდან სახლამდე და პირიქით, ფული რომ დაეზოგა და 4 შვილისთვის საჭირო საკვები და სხვა საშუალებები ეყიდა. ამბობს, რომ ხასიათის სიძლიერე მამისგან გადაეცა, მრავალშვილიან ოჯახში ყველა მამაკაცი სპორტსმენია, თავადაც 9 წელი ვარჯიშობდა კარატეში, თუმცა მოგვიანებით სილამაზის ინდუსტრიაში სცადა ბედი და წლებია, ერთგულად ემსახურება საქმეს, რომელიც შვილივით უყვარს.*

- დავიწყოთ თავიდან...

- დავიწყებ იმით, რომ ძალიან პატარა ასაკში შევქმენი ოჯახი - 17 წლისას უკვე პირველი შვილი მყავდა, 23 წლისას კი ოთხივე. სამი ვაჟის და ერთი ქალიშვილის დედა ვარ. ძალიან რთული პერიოდი გამოვიარე, ყველაფერი რომ მოვყვე, რამდენიმე დღე არ მეყოფა, თანაც ამას ემოციების გარეშე ვერ შევძლებ და არ მინდა ვინმეს სევდა მოვგვარო, პირიქით - მინდა ბევრი ქალისთვის იმის მაგალითი ვიყო, რომ არასდროს თქვან უარი ოცნებებზე. სწავლა, შვილები, ოჯახი, გაჭირვება - ყველა სირთულემ ერთდროულად გადაიარა ჩემს ზურგზე, მაგრამ არასდროს დავცემულვარ, ყოველთვის მჯეროდა უკეთესი ხვალინდელი დღის. სწავლის პარალელურად, მასაჟებს ვაკეთებდი, ოჯახებში დავდიოდი, საავადმყოფოშიც ვმუშაობდი... დღის განავლობაში არაერთ ოჯახში მივდიოდი, ამიტომ „მარშრუტკით“ გადაადგილებაში ფულს არ ვხარჯავდი, არ მინდოდა, ბავშვები საკვებისა და პამპერსის გარეშე დამრჩენოდნენ. მახსოვს, პაციენტთან მასაჟზე ვიყავი მისული, როცა საშინლად ამტკივდა მუცელი. რომ ვეღარ გავიყუჩე, ჩუმად გავედი სადარბაზოში და ნემსი გავიკეთე, მასაჟი დავასრულე, რომ იმ დღის ფული არ გამოექვითა. ტკივილი არ გამიყუჩდა, იქვე, საავადმყოფოში მივედი, ცუდად ვარ და მიშველეთ-მეთქი. სასწრაფოდ საოპერაციოში შემიყვანეს, თურმე ბრმა ნაწლავი მქონდა გახეთქილი და უკვე სისხლი მეწამლებოდა. ასე გადავრჩი არაერთხელ, ალბათ, იმიტომ, რომ ღმერთს ვუყვარვარ, მას არასდროს მივუტოვებივარ. სწავლამ დიდი შედეგი გამოიღო, საკუთარი თავით კმაყოფილი ვარ, რომ არ დავნებდი და ყველაფერი ბოლომდე მივიყვანე. საექიმო დავამთავრე, ოჯახის ექიმად ვმუშაობდი, მაგრამ შემდეგ მასაჟისტობა ვარჩიე. ვხედავდი, რომ სილამაზის სფერო თანდათან უფრო შემოსავლიანი ხდებოდა და კოსმეტოლოგია შევისწავლე. 18-წლიანი გამოცდილება მაქვს, ამ დროის განმავლობაში ძალიან ბევრი ერთგული მომხმარებელი შეიძინე, მეგობრები, რომლებიც წლებია, მომყვებიან და საკუთარ გარეგნობას მანდობენ. იციან, რომ უღალატო ვარ, იციან, რომ ფული არასდროს ყოფილა ჩემთვის პრიორიტეტი, რომ მათთვის, ვისაც ნამდვილად სჭირდება ჩემი დახმარება, უარი არასდროს მითქვამს. სწორედ ამ ურთიერთობებმა მომიტანა მომხმარებლის ნდობა და სიყვარული, შემაძლებინა ჩემი სახელობის ოთხი ცენტრის გახსნა ბათუმში.

- რა განცდაა, როცა, ამდენი სირთულისა და გამოწვევების შემდეგ, წარმატება მოდის?

- ყოველთვის მჯეროდა, რომ თავდაუზოგავი შრომა, ადრე თუ გვიან, დადებით შედეგს მოიტანდა. არ ვუშინდებოდი არცერთ სირთულეს, ყველა დაცემის შემდეგ უფრო გაძლიერებული წამოვდექი ფეხზე და გავაგრძელე ბრძოლა. ხშირად მეუბნებიან, შენს ადგილზე ამდენს აღარ ვიმუშავებდი, დავისვენებდიო. ადრე არ მქონდა საკუთარი არაფერი და თავდაუზოგავად ვმუშაობდი, ახლა მაქვს და უფრო მეტი უნდა ვიშრომო, რათა მეტ ადამიანს დავეხმარო. ეს ცენტრი ჩემი მეხუთე შვილია, ამის გარეშე არ შემიძლია. აქ შემოსული თითოეული მომხმარებელი გულით და სულით მიყვარს, ხანდახან პაციენტებს, რომლებიც გვიან ასრულებენ სამსახურს, შუაღამემდეც დავლოდებივარ. სწორედ ამ ურთიერთობებმა შექმნა ნდობა. მე და ჩემი ცენტრის მომხმარებლები ერთი დიდი ოჯახი ვართ.

- ის, რაც ყველაზე მეტად გსურთ?

- ძალიან მინდა ბათუმში რეაბილიტაციის ცენტრის გახსნა. მჯერა, სურვილს ფრთებს შევასხამ. მინდა, ჩემს ცენტრში ყველაზე ხელმისაწვდომი ფასები იყოს, დაფინანსებით შევძლოთ პაციენტების მიღება და დახმარება. ჩემი ოცნებაა, რაღაც ისეთი გავაკეთო, რაც ჩემს ბათუმს, ჩემს ხალხს გამოადგება.

- გვიამბეთ სპორტსმენ ძმებზე.

- ჩემი ოჯახის თითქმის ყველა მამაკაცი სპორტული ცხოვრებით ცხოვრობს. ძმა - რამაზ ზოიძე მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია ჭიდაობაში და მჯერა, ოლიმპიადასაც მოიგებს. მეორე ძმაც მოჭიდავეა, ინდოეთში ცხოვრობს და იქაურ ბავშვებს ავარჯიშებს ჭიდაობაში. ჩემმა შვილებმაც ბიძების გზა აირჩიეს - უფროსი მოკრივეა, მეორე - მოჭიდავე, მესამე ცოტა ზარმაცი გვყავს, რაც შეეხება ნაბოლარა გოგონას, კარგად სწავლობს, უნდა, ქირურგი გამოვიდეს. ხშირად ვეუბნები შვილებს, არავისი არაფერი შეშურდეთ, დაუღალავად იშრომონ და აუცილებლად მიაღწევენ წარმატებებს საქართველოს თუ მსოფლიოს მასშტაბით. ყველა ვერ იქნება დიპლომიანი, მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს ადამიანი, თავისი საქმის პროფესიონალი. ხშირად ვამბობ, რომ მინდა, ძმის მსგავსად, მეც ჩემს საქმეში ვიყო ჩემპიონი. ბედნიერი ვარ ჩემი ოჯახით, მეუღლით, შვილებით, ძმებით, დებით, მშობლებით, რომლებმაც მებრძოლი სულის ადამიანებად აღგვზარდეს. მჯერა, წინ არაერთი წარმატება გველოდება, რადგან არასდროს ვკმაყოფილდებით მიღწეულით. დარწმუნებული ვარ, მიზნისკენ მიმავალ გზაზე გამოწვევებს თუ არ შეუშინდები, აუცილებლად გაიმარჯვებ, რაც შემდგომი გამარჯვებების სურვილს აასმაგებს.

- რჩევა - ქალბატონებს.

- ჯერ პროფესიულ რჩევას მივცემ და ვეტყვი: ქალბატონებო, გაიკეთეთ ყველა პროცედურა, რაც ბედნიერად გაგრძნობინებთ თავს, მაგრამ შეინარჩუნეთ ზომიერება. პირველ რიგში, სხეულის შინაგანი ჯანმრთელობაა აუცილებელი, გარეგნული ეფექტების მისაღწევად კი უამრავი საშუალება არსებობს, მთავარია, არ დავკარგოთ ინდივიდუალიზმი, რაც სხვებისგან გამოგვარჩევს. ყველა ქალბატონმა უნდა ირწმუნოს საკუთარი შესაძლებლობები, არ დანებდეს სირთულეს, ნუ შეეშინდება მარცხის, რომელიც მას აუცილებლად გააძლიერებს. მინდა დამდეგი შობა-ახალი წელი მოგილოცოთ და, პირველ რიგში, ბედნიერება გისურვოთ. ბედნიერ ქალს „მთების გადადგმა“ შეუძლია.